ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 2019 №221 (8175) ფასი: 60 თეთრი

მდინარაძემ ბოკერიას ტუტუცი ნაგავი უწოდა

გვ.2

„დამიწყო აქ ძველბიჭობა, ადრე გეძველბიჭა“

17 სექტემბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„გიორგი ოთხმეზურის ოჯახს ხელისუფლებამ ზურგში დანა ჩაარტყა“

გვ.5

სალომე ზურაბიშვილმა მარიკა ლორთქიფანიძის 18 წლის შვილიშვილის მკვლელი შეიწყალა

გვ.3

გიორგი გუგავა: „პრეზიდენტის ქმედებები დანაშაულია!“

„მახინჯ ოლიგარქიულ სისტემაში დამშეული მონები ვართ... ბიზნესმენებს პოლიტიკაში ჩართვა აეკრძალოთ!“

რომან გოცირიძე: „ევროკავშირის კვლევამ „ოცნებას“ განაჩენი გამოუტანა“

გვ.3

„ნატოში უნდა შევიდეთ იმ ტერიტორიებით, რომლებსაც დღეს ვაკონტროლებთ“

მამუკა გვაძაბია: „დასავლეთ გერმანია ნატოს წევრი რომ არ ყოფილიყო, დღეს გერმანია გაერთიანებული არ იქნებოდა“

გვ.4



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „გვეშველება რამე?!“

„ყველა ნაცნობი ამას მეკითხება“

„ირაკლი გოგიბერიძე გადადგეს!“

გვ.4

თბილავიამშენი ისევ გაიფიცა

გვ.2

„ტოქსიკური ძალა ხართ, ძალიან აუტანლები გახდით“

რატომ ერჩის ცქიტიშვილი „ევროპულ საქართველოს“

სამართალი

გვ.5

ილია მემანიშვილი, მორის მაჩალიკაშვილი და გოგი ქურდოვანიძე პატიმრობაში რჩებიან

დავით თეთრუაშვილი ოჯახის წევრებმა მდინარის პირას გარდაცვლილი იპოვეს

სოსო პავლიაშვილის სიძე ვახტანგ ჩხაპელია გარდაიცვალა

ის ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს



2 მამუკა ხაზარაძე „ლელოს“ პირველ 12 წევრს დღეს წარადგენს

2 საქართველოში თვეში 1.600 ლარზე მეტი მხოლოდ 5%-ს აქვს

6 ავღანეთის პრეზიდენტის მოსახლეობასთან შეხვედრისას აფეთქება მოხდა

დაღუპულია 24 ადამიანი

7 პიტერ შილტონი: „მარადონას ხელს არ ჩამოვართმევ“

ISSN 1987-9385

მდინარაძემ ბოკერიას ტუტუცი ნაგავი უწოდა

„დამიწყო აქ ძველბიჭობა, ადრე გეძველბიჭა“

გუშინ, 17 სექტემბერს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ერთმანეთს „ევროპული საქართველოს“ წევრი გიგა ბოკერია და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე დაუპირისპირდნენ.

დეპუტატებმა ერთმანეთს შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართეს.

მამუკა მდინარაძემ ოპოზიციონერ დეპუტატს ტუტუცი ნაგავი მას შემდეგ უწოდა, რაც ბოკერიამ მას ასე მიმართა:

– ნუ უზრდელობ. თითის ქნევასაც მიიღებ და მშობლების ცუდად მოხსენიებასაც.

– აჰყვა ბიჭი და დამიწყო აქ ძველბიჭობა. ადრე გეძველბიჭა, – ასე უპასუხა მამუკა მდინარაძემ ბოკერიას.

დეპუტატებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც გიგა ბოკერიამ დეპუტატ შოთა ხაბარელის მიერ მისთვის დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ცადა.

სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბოკერიას ჰკითხა, არის თუ არა სპორტის სფეროში არსებული მიღწევები მთავრობის დამსახურება. ბოკერიამ კი უპასუხა, რომ ეს მთავრობის დამსახურება არ არის, ეს თავად სპორტსმენების დამსახურებაა, რაზეც მამუკა მდინარაძემ მას მიუთითა, რომ კითხვაზე მოკლედ ეპასუხა: კი ან არა.

– მე ქუჩური გარჩევების მომხრე არ ვარ, მაგრამ, თუ ამ გზაზე დადგომა გინდათ, კი ბატონო, – უთხრა ბოკერიამ მდინარაძეს.

მან დააზუსტა, რომ მდინარაძეს მორალურ დისკომფორტს აქამდეც უქმნიდა და მომავალშიც შეუქმნის.

– ბატონო მამუკა, მე არსად წავსულვარ, მედიაჩართვა მქონდა, აქ ვაპირებ ყოფნას. პოლიტიკურად ერთდროულად მსხვერპლიც და მოძალადეც ვერ იქნებით. მე ქუჩური გარჩევების მომხრე არ ვარ, მაგრამ, თუ ამ გზაზე დადგომა გინდათ, კი ბატონო.

გიმეორებთ, თქვენგან განსხვავებით, ჩემი მიზანი თქვენი პოლიტიკური დამარცხებაა და არა განადგურება. მორალურ დისკომფორტს გიქმნიდით და მომავალშიც შეგიქმნით, – უთხრა ბოკერიამ მდინარაძეს.

„ტოქსიკური ძალა ხართ, ძალიან აუტანლები გახდით“

რატომ ერჩის ცქიტიშვილი „ევროპულ საქართველოს“

„ქართული ოცნების“ წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი „ევროპული საქართველოს“ წევრებს დაუპირისპირდა და მათ „პოლიტიკური ტოქსიკური ძალა“ უწოდა.

– პროდასავლურობა და პროევროპულობა არ გამოიხატება იმ სწორხაზოვნებასა და პრიმიტიულ პოლიტიკურ აზროვნებაში, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ, არამედ გამოიხატება იმ მრავალფეროვნებაში, რომელიც ამ ქვეყანაში და თუნდაც ამ პარლამენტში არის. თუნდაც იმაში, რომ თქვენი ატანა გვიწევს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად ძალიან აუტანლები გახდით, ამ ბოლო დროს – განსაკუთრებით. თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოში ვიღაცას შეეძლება ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც ანტიდასავლური, – თქვა ცქიტიშვილმა.

მისი თქმით, ოპოზიციას პარლამენტის თავმჯდომარემ სახელად ტოქსიკური ძალა დაარქვა.

– ზუსტად რომ პოლიტიკური ტოქსიკური ძალა ხართ და

ყველაზე გულწრფელ პროტესტსაც კი ამახინჯებთ. არ ვართ იდეალურები, ძალიან ბევრი შეცდომა გვაქვს დაშვებული 7-8 წლის განმავლობაში. ეს შეცდომები ჩვენი შეცდომებია, ჩვენი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ყველა ის პროტესტი, რომელიც ჩვენ მიმართაა წარმოქმნილი, რომელიც შეიძლება ძალიან ლეგიტიმური და გულწრფელი იყოს, თქვენ დაამახინჯეთ და აქციეთ მანიპულირების იარაღად, რომელიც თითქოს თქვენ გაძლევთ პოლიტიკურ ქულებს, რაც, საბოლოო ჯამში, თქვენი ფრუსტრაციით დამთავრდება. თქვენ რეალურად დამთავრდებით, არა იმიტომ, რომ თქვენ დაგამთავრებთ ვინმე, არამედ პოლიტიკურად დამთავრდებით.

ღმერთმა დაიფაროს საქართველო თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის განმეორებისგან. ეს ასევე ეხება ნაციონალურ მოძრაობას, იმიტომ, რომ ჩემთვის თქვენ ერთი ძალა ხართ, უბრალოდ, განსხვავებული ელფერი შეიძინეთ, ცდილობთ, ერთმანეთს გაემიჯნოთ, მაგრამ ვერ გაემიჯნებით, თქვენ ერთი პოლიტიკური დანაშაულის ნაწილები ხართ, – დასძინა ცქიტიშვილმა.

დააკავეს ბ.მ., რომელიც „გურიის მოამბის“ რედაქტორს შვილების ლიკვიდაციით ემუქრებოდა

გურიის პოლიციამ „გურიის მოამბის“ რედაქტორის მიმართ მუქარის ფაქტზე ერთი პირი ამხილა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტისა და კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ბ.მ. მუქარის ფაქ-

ტზე ამხილეს. დანაშაული 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხილებული, სოციალური ქსელი „ფეისბუქის“ მეშვეობით, საინფორმაციო სააგენტო „გურიის მოამბის“ რედაქტორს შვილების სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მალევე დაადგინეს და მუქარის ფაქტზე ამხილეს ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ბ.მ.-ს კუთვნილი კომპიუტერი, საიდანაც მან მუქარის ტექსტი გააგზავნა.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუქარას გულისხმობს. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა,“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები სახეცვლილი ფორმატით ჩატარდება

სავალდებულო ხდება 3 საგნის ჩაბარება

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები სახეცვლილი ფორმატით ჩატარდება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორ სოფიო გორგოძის განცხადებით, ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო ხდება 3 საგნის ჩაბარება, თუმცა სამედიცინო მიმართულებებზე აბიტურიენტებმა კვლავ 4 საგანი უნდა ჩააბარონ.

– 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები სახეცვლილი ფორმატით ჩატარდება. სავალდებულოა სამი გამოცდა. ესენია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ან ისტორია, ან მათემატიკა, იმის მიხედვით, თუ რომელ პროგრამაზე აბარებს სტუდენტი. მესამე საგანი რიგ შემთხვევებში უკვე განსაზღვრულია, ხოლო რიგ შემთხვევებში უნივერსიტეტებმა თავად აირჩიეს, რა უნდა იყოს ჩასაბარებელი კონკრეტულ პროგრამებზე.

პროგრამების უმეტესობაზე სამი საგნით მიმდინარეობს ჩარიცხვა, თუმცა უნივერსიტეტები უფლებამოსილნი იყვნენ, სურვილის შემთხვევაში, დაემატებინათ მეოთხე საგანი და მათი ნაწილი ასეც მოიქცა.

ზოგიერთ პროგრამაზე მათ დაამატეს მეოთხე საგანი, მათ შორის, უნარები. ასევე, სამედიცინო მიმართულებების შემთხვევაში ოთხი გამოცდაა კვლავ სავალდებულო და ეს ოთხი გამოცდა არის: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ბიოლოგია და მეოთხე არის არჩევითი სამი საგნიდან: მათემატიკა, ქიმია ან ფიზიკა.

რაც შეეხება გრანტის მოპოვებას, იმ პროგრამებზე, სადაც სამი საგნით მიმდინარეობს ჩარიცხვა, სამი საგნის ქულები მონაწილეობს საგრანტო ქულის დათვლაში, ხოლო თუ ოთხი საგნით მიმდინარეობს ჩარიცხვა, მაშინ აბიტურიენტი მონაწილეობას იღებს ორ კონკურსში.

პირველ კონკურსში არის პირველი, მეორე და მესამე საგანი მნიშვნელოვანი, ხოლო მეორე კონკურსში მეორე და მეოთხე საგანი, ანუ რომელიც უნივერსიტეტმა შემდეგ დაამატა. ეს იქნება ორი კონკურსი, ექნება ორი შედეგი და სადაც უკეთესი შედეგი ექნება, ამის მიხედვით იქნება დაფინანსება, – განაცხადა სოფიო გორგოძემ.

მამუკა ხაზარაძე „ლელოს“ პირველ 12 წევრს დღეს წარადგენს

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე მოძრაობის პირველ 12 წევრს დღეს, 18 სექტემბერს, წარადგენს.

„ლელოს“ ახალი წევრების წარდგენა 13:00 საათზე იგეგმება.

მამუკა ხაზარაძე მოძრაობის პირველ 12 წევრს საზოგადოებას „ლელოს“ ოფისში გააცნობს.

ხაზარაძემ „ლელოს“ პრეზენტაცია 12 სექტემბერს გამართა და, როგორც განაცხადა, არჩევს სხვადასხვა სფეროში 12-12 ლიდერს.



საქართველოში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი

უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს გარემოს ეროვნული სააგენტოს პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა.

მისი ინფორმაციით, 18 სექტემბერს საქართველოს მასშტაბით უმეტესად უნალექო ამინდი იქნება.

– 18 სექტემბერს დღის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთსა და აღმოსავლეთში +24 -29 გრადუსი იქნება. ასევე, თბილისში დღის განმავლობაში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ღამით შეიძლება ხანმოკლე წვიმა იყოს ელჭექით. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მ/წმ-ში, დროგამოშვებით გაძლიერდება 17-22 მ/წმ-მდე. რაც შეეხება ტემპერატურას, ჰაერი +28 გრადუსამდე გათბება.

19 სექტემბერს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში დღის განმავლობაში შეიძლება მცირედით იწვიმოს. ჰაერი +28 გრადუსამდე გათბება. აღმოსავლეთ საქართველოში კი უნალექო ამინდია მოსალოდნელი.

20 სექტემბერს დღის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში წვიმაა ელჭექით. ტემპერატურა +21-26 გრადუსამდე დაიკლებს. ასევე, ხანმოკლე წვიმაა ელჭექით მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. ტემპერატურა +24-29 გრადუსის ფარგლებში იქნება. თბილისში დღის მეორე ნახევარში შესაძლებელია, ხანმოკლე წვიმა იყოს ელჭექით, ჰაერი +27 გრადუსამდე გათბება, – განაცხადა სვეტლანა ნიორაძემ.

რუსეთმა აფხაზეთს მილიარდი რუბლი გადაურიცხა

რუსეთმა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მილიარდი რუბლი გადაურიცხა.

რუსული მედიის ცნობით, ფულის ნაწილი პენსიებსა და ხელფასებს მოხმარდება, 500 მილიონი რუბლი კი – საბანკო სისტემის გამყარებას.

ამის შესახებ ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ე.წ. ელჩმა ალექსეი დვინიანინმა გუშინ, 17 სექტემბერს, განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, წარმატებით მოქმედებს საინვესტიციო პროგრამა აფხაზეთისთვის სოციალურ-ეკონომიკური დახმარების კუთხით, რისთვისაც წელს რუსეთმა 1.7 მილიარდი რუბლი ჩადო.

ალექსეი დვინიანინმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ 2017-2019 წლებში რუსეთმა მთლიანობაში დე ფაქტო ხელისუფლებას 6 მილიარდამდე რუბლი გადაურიცხა.

საქართველოში თვეში 1.600 ლარზე მეტი მხოლოდ 5%-ს აქვს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 5% ამბობს, რომ გასულ თვეში მისი ოჯახის შემოსავალი 1.600 ლარზე მეტი იყო.

რესპონდენტთა 6%-ის თქმით, ამდენივე იყო ოჯახის დანახარჯი.

კვლევის მიხედვით, 1.201-1.600 ლარი შემოსავალი გასულ თვეში მოსახლეობის ასევე 5%-ს ჰქონდა (გათვალისწინებულია ყველა შემოსავალი, რომელიც ოჯახის ყველა წევრმა მიიღო).

გამოკითხულთა 11% ამბობს, რომ მისი ოჯახის გასული თვის შემოსავალი 801 ლარიდან 1.200 ლარამდე იყო, 16% – 501 ლარიდან 800 ლარამდე, ხოლო 23% – 301 ლარიდან 500 ლარამდე.

კვლევაში მონაწილეთა 14%-ის თქმით, მათი ოჯახის შემოსავალი 201-300 ლარი იყო, 11%-ის კი – 200 ლარამდე.

0 შემოსავალი და დანახარჯი ჰქონდა 1%-ს.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail:axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „გვეშველება რამე?!“

„ყველა ნაცნობი ამას მეკითხება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ენდიაის სოციოლოგიური კვლევის შედეგები დაიდო. რამდენად ასახავს ეს კვლევები არსებულ რეალობას?

– საერთოდ სოციოლოგია, მით უფრო არჩევნებთან მიმართებით, იმ შემთხვევაშია უტყუარი, თუ რესპონდენტის გულახდილობაა გარანტირებული. თუ გარკვეული მიზეზებით რესპონდენტი გულახდილი არ არის, სოციოლოგია შედეგს არ იძლევა.

მახსოვს, საბჭოთა პერიოდში რელიგიის საქმეთა კომიტეტის ფარგლებში გამოკითხვას ვატარებდით მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში. კითხვა იყო – ღმერთი არსებობს? ყველა გამოკითხულმა გამონაკლისის გარეშე უარყოფითი პასუხი გასცა. შიშის ფაქტორმა იმოქმედა და, რასაკვირველია, პასუხები არ იყო გულახდილი. ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია, რომ რეალობა იყო ერთი, მიღებული შედეგი – მეორე.

ასეთი შიშის შედეგი იყო 2012 წლის სოციოლოგიური კვლევის შედეგი, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ძალიან მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ არჩევნებში სულ სხვა ძალამ გაიმარჯვა.

– გამოკითხულთა 49% თვლის, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება. 10 წლის მანძილზე ასეთი განწყობა არ ჰქონიათ ადამიანებს. რა მოხდა?

– არის ერთი ფაქტორი, რაც საერთოდ არ გაითვალისწინა „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა მას დიდ ყურადღებას უთმობდა. ვგულისხმობ სტერეოტიპებს, რომლებიც მკვიდრდება მოსახლეობაში. დამკვიდრებულ სტერეოტიპთან ბრძოლა კი ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელი.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად: ქვეყანა არ ვითარდება, არაფერი არ კეთდება. მერე ეს კვლევებშიც აისახება. ამ სტერეოტიპს დაბეჯითებით ამკვიდრებს ოპოზიცია და ეს სრულიად ბუნებრივია. ოპოზიციის ამოცანაც ესაა, მაგრამ ხელისუფლებას საპასუხო რეაქცია უნდა ჰქონდეს. ეს რეაქცია რომ არ ჩანს, ეს არის არაბუნებრივი. კრიტიკული სტერეოტიპი პოზიტიური სტერეოტიპით უნდა დააბალანსოს.

– ასეთი განწყობები შეიძლება მხოლოდ სტერეოტიპს დავაბრალოთ თუ ადამიანების პირადი განცდაც შეიძლება ასეთი იყოს?

– სულაც არ ვგულისხმობ, რომ სტერეოტიპის ქვეშ ადამიანის განცდა არ არის. სწორედ სტერეოტიპი ქმნის განცდებს. ქუჩაში რამდენი ნაცნობიც შემხვდება, იმდენი მეკითხება – გვეშველება რამე? მეგობრები ამ კითხვისგან მინდობენ.

გამოდის, რომ ადამიანებს მეტი ინფორმაცია სჭირდებათ ხელისუფლებისგან. მათ აქვთ განცდა, რომ ქვეყანა ინგრევა, რადგან მხოლოდ ეს ესმით. არაფერი ამის საპასუხო „ქართული ოცნებისგან“ არ ესმით, დიდი დიდი, ნაციონალურ მოძრაობას უთხრან – თქვე ნაციონალებო!

– „ქართული ოცნება“ რა სტრატეგიით შედის წინასაარჩევნო კამპანიაში, რამდენად იქნება ეს შედეგები მისთვის სახელმძღვანელო?

– მიუხედავად ბევრი შეცდომისა, მე მაინც არ ვთვლი, რომ არჩევნების ამ რაუნდს „ოცნება“ წააგებს, რადგან არანაკლებ შეცდომას, თუ მეტს არა, ოპოზიცია უშვებს. 2020 წლის არჩევნებიც ზუსტად იმ ჭრილში ჩაივლის, როგორც ჩაიარა საპრეზიდენტო არჩევნებმა – უარესიდან რომელი ავირჩიოთ!

–კვლავ არჩევანი იქნება ცუდსა და უარესს შორის?

– დიახ, რა თქმა უნდა! აბა სად გვაქვს კარგი არჩევანი! პოლიტიკაში იდეალური არჩევანი არ არსებობს. თუმცა, ეს სულაც არ არის გასაკვირი, ბოლო დროს დასავლეთის ქვეყნებშიც მსგავსი ტენდენცია მძლავრობს. მაგალითად, ამერიკაში ხალხმა ჰილარი კლინტონს დონალდ ტრამპი ამჯობინა. ეს კიდევ სხვა რაღაცაა.

– პროპორციული საარჩევნო სისტემის მიუხედავად, 2020 წლის არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს?

– დიახ, არსებული მოცემულობით გაიმარჯვებს.

– ისეთ პროცენტულ მაჩვენებლებს აიღებს, რომ მინისტრთა კაბინეტს ერთპიროვნულად დააკომპლექტებს?

– აი, სწორედ ეს საკითხია მნიშვნელოვანი. მე კი ვთქვი, რომ „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა, მაგრამ რამდენად დააკომპლექტებს მთავრობას, ეს დღეს რთული სათქმელია. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ მედგრად იბრძოლებს, რათა ის უმრავლესობა აიღოს, რომ მხოლოდ მან დააკომპლექტოს მთავრობა. ეს დაუნდობელი ბრძოლა კი „ევროპული საქართველოს“ დამსახურება იქნება.

– რატომ?

– მისი ბოლოდროინდელი შეურიგებელი პრინციპი, რომ არავინ დაეხმაროს „ქართულ ოცნებას“ მთავრობის შექმნაში, რომ არავინ არ ითანამშრომლოს მმართველ პარტიასთან, მმართველ პარტიას უბიძგებს, არჩევნები მოიგოს ისე, რომ არავის დახმარება არ დასჭირდეს მთავრობის ფორმირებაში.

„ევროპულ საქართველოს“ „ქართული ოცნება“ ასეთივე შეურიგებლობით უპასუხებს. ამ შემთხვევაში არ გამოვრიცხავ, რომ ამომრჩეველიც დადგეს კვლავ იგივე არჩევანის წინაშე, როგორის წინაც ის საპრეზიდენტო არჩევნებზე დადგა.

გიორგი გუგავა: „პრეზიდენტის ქმედებები დანაშაულია!“

„მახინჯ ოლიგარქიულ სისტემაში დამშეული მონები ვართ... ბიზნესმენებს პოლიტიკაში ჩართვა აეკრძალოთ!“

იაგო ნაცვლიშვილი

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი საქართველოში საზოგადოებრივი აზრის მორიგ კვლევას აქვეყნებს. კვლევის მიხედვით ირკვევა ის, რაც აქამდეც ნათელი იყო, მაგრამ კვლევით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. ირკვევა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარს, 49%-ს, არ ჰქონია საშუალება, კომუნალური გადასახადი გადაეხადა, მოსახლეობის 61% კი თავს დასაქმებულად არ მიიჩნევს. 50% ამბობს, რომ მას ან მის ოჯახს სჭირდებოდა წამალი, მაგრამ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ის ვერ იყიდა. ქვეყნის ეროვნულ საკითხებს შორის პირველ ადგილს დასაქმება იკავებს. მხოლოდ ამ მცირე ჩამონათვალიდანაც კი ირკვევა, რამდენად რთული მდგომარეობაა ქვეყანაში.

სამაგიეროდ, არის დამაიმედებელი ნაწილიც. კერძოდ ის, რომ რუსული პროპაგანდა საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს, რის საფუძველსაც იძლევა კვლევის ის ნაწილი, სადაც მოსახლეობის 71% ნატოში გაწევრიანების მომხრეა, 78% კი ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს. მართალია, ნატოს მომხრეთა რაოდენობა ოდნავ შემცირებულია, მაგრამ ეს პროცენტები მაინც იმაზე მიუთითებს, რომ რუსული ნარატივის ზემოქმედების საფრთხე არც ისე დიდია.

აღნიშნულ საკითხებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** აფასებს.

– ენ-დი-აი-ს კვლევაში საკმაოდ საგანგაშო ფონი ჩანს სოციალური მიმართულებით. ეს აქამდეც ვიცოდით, თუმცა ამ კვლევით კიდევ ერთხელ აშკარად გამოჩნდა. ის, რაც არის მოცემული კვლევაში ამ მიმართულებით, რა სურათს იძლევა, მიატანს ხელისუფლება 2020-ის არჩევნებამდე?

– რა სურათიც ჩანს, არის კატასტროფა და ეს არის ოლიგარქიული პოლიტიკის შედეგი. ოლიგარქები დღესაც არიან პოლიტიკაში და მათ ინტერესს მხოლოდ და მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ ეს ქვეყანა და ძალაუფლება გამოიყენონ პირადი გამდიდრებისა და მომხვეჭელობისათვის. ამას მუდმივად ვამბობდით. ეს უბედურება და კატასტროფული მდგომარეობა ოლიგარქიული მმართველობის შედეგია და, თუ ოლიგარქია არ ჩამოვიშორეთ, დავკარგავთ ქვეყანას, საკუთარ თავს. ჩვენ პრაქტიკულად ვართ მონები, დამშეული მონები ამ პოლიტიკურ მახინჯ სისტემაში. სანამ ამ მახინჯ ოლიგარქიულ სისტემას არ ჩამოვაცილებთ ხელისუფლებას, არაფერი გვეშველება. ეს ეხება ძველსა და მოქმედ ოლიგარქებსაც, ახლად გამოჩეკილებსაც, რომლებსაც სურვილი აქვთ, კვლავ პოლიტიკაში მოვიდნენ და გაიმეორონ ის გზა, რომელიც ივანიშვილმა გაიარა. ეს შეეხება აბსოლუტურად ყველას.

ჩვენ ვაპირებთ, შევიმუშაოთ ანტიოლიგარქიული პაქტი, რომელიც ითვალისწინებს, ბიზნესმენებს აეკრძალოთ პოლიტიკური საქმიანობა. თუ ეს არ გავაკეთეთ, მუდმივად გვექნება ისეთი კატასტროფული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორიც დღეს გვაქვს.

– დემოკრატიული იქნება, როდესაც ბიზნესმენების პოლიტიკაში ჩართვის აკრძალვის იდეით გამოდიხართ?

– ეს აბსოლუტურად დემოკრატიულია. როდესაც ოლიგარქია აპირებს ამ გაღატაკებული და გაუბედურებული ამომრჩევლის ყიდვას, ბუნებრივია, მათ წინ უნდა აღვუდგეთ. დემოკრატია და სახელმწიფო სისტემა თანამედროვე გაგებით არ გულისხმობს ხელისუფლების მონოპოლიზებასა და სახელმწიფოს მიტაცებას, რაც დღეს გვაქვს, რასაც ახორციელებენ ივანიშვილი და მისი ბანდა.

– ახალგამოჩეკილ ოლიგარქებში ხაზარაძე იგულისხმეთ?

– რა თქმა უნდა, ყველა ვიგულისხმე, არა აქვს მნიშვნელობა, ხაზარაძე იქნება თუ სხვა. ისინი პოლიტიკაში მოდიან საკუთარი სიმდიდრის კვლავ გასადიდებლად. ისინი მოდიან ხალხის დასამონებლად და ძალაუფლება სჭირდებათ არა საჯარო ინტერესებისათვის, არა ქვეყნის განვითარებისათვის, მოსახლეობის სოციალური დაცულობისათვის, მათი უსაფრთხოებისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ბიზნესლობისათვის. ეს ვნახეთ და ეს ინტერესი გააჩნია ყველას. ასე იყო 1999 წელსაც, როდესაც მრეწველებმა შექმნეს პარტია და ამით იხეირეს. ასე იყო ივანიშვილი, ასეა ხაზარაძე და ასეა ყველა ოლიგარქიული ჯგუფი.

კიდევ ერთხელ ვამბობ, მათი პირდაპირი დამსახურებაა, რაც ხდება სოციალურ-ეკონომიკური კუთხით. არაფერს ვამბობ მართლმსაჯულებასა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე და ამას არ ვდებ ბრალად, მაგრამ, როდესაც ადამიანებს საარსებო საშუალება წართმეული აქვთ, ე მათი, ოლიგარქების პირდაპირი „დამსახურებაა“, რადგანაც ისინი ამ ძალაუფლებას იყენებენ და იყენებდნენ ხალხის საწინააღმდეგოდ და მათ დასამონებლად, მათი თანხების, მათი ქონების მისათვისებლად და ეს შედეგიც ამიტომ არის კატასტროფული.

– კვლევაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ევროატლანტიკური მიმართულება. მოსახლეობის 70%-ზე მეტმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მხარს უჭერს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას. ეს რას ნიშნავს იმ ფონზე, რომ ბოლო დღეებში თითქოს რუსული ნარატივის გაძლიერება შეინიშნებოდა?

– დღეს ხელისუფლებაში გვყავს ოლიგარქი, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს რუსეთის მეფისნაცვალს. ეს კარგად უნდა ვიცოდეთ. ხელისუფლება ატარებს სწორედ რუსეთის ინტერესებს, რათა ეს ქვეყანა გადააქციოს რუსეთის გუბერნიად. მეფისნაცვლის ფუნქცია აქვთ ივანიშვილსა და ამ ბანდას. ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ განხორციელდეს მათი ეს ძალიან მავნე მიზნები.

– ამ თვალსაზრისით „პატრიოტთა ალიანსიც“ ხელისუფლების ნების შემსრულებელია?

– „პატრიოტთა ალიანსი“ არის რუსული „მეხუთე კოლონა“ საქართველოში. ეს პარტია არის რუსეთისა და ივანიშვილის მთავარი დასაყრდენი ძალა იმ პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის სრულ ოკუპაციას. არა მხოლოდ 20%-ის, რომელიც დღეს აქვს ოკუპირებული, არამედ მოახდინოს პოლიტიკურად სრული ოკუპაცია. მათი მიზანია, დაგვაკარგვინოს დამოუკიდებლობა, ის მიზანი, რომელიც ამ ერს გააჩნია. მხედველობაში მაქვს ის, რომ დაბრუნდეს თავის მშობლიურ სივრცეში, ევროპული სივრცეში. ჩვენ ვართ ევროპული სივრცის ნაწილი ჩვენი კულტურით, ჩვენი მრწამსით, ჩვენი ისტორიით. ცდილობენ, ეს გზას გადაეღობონ და დაგვაბრუნონ რუსული იმპერიალიზმის ქვეშ. ეს არის გამოცხადებული კოლაბორაციონიზმი. ასე უწოდებენ ისტორიკოსები ამ ტერმინს, რომელიც მოდის ესპანეთის სამოქალაქო ომიდან. იქ გამოიყენებოდა ეს ტერმინიც და „მეხუთე კოლონაც“, როდესაც აჯანყებულები მადრიდში იყვნენ.

– პრეზიდენტი შეწყალების თემასთან დაკავშირებით მორიგ სკანდალში გაეხვია. ამჯერად მან დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის მსჯავრდებული შეიწყალა. როგორია თქვენი შეფასება?

– ეს უკვე აღარ არის სკანდალი, ეს უკვე დანაშაული. რასაც ვუსმენთ და ვუყურებთ, ეს არის დანაშაული და შეუძლებელია, ეს არ სცოდნოდა. თუ არ იცოდა, მაშინ ამას გულგრილობა ჰქვია. ასეა დანაშაულის კვალიფიკაცია. ამ ქვეყანას პრეზიდენტი იმისთვის არ სჭირდება, რომ მკვლელები შეიწყალოს და ამას უკვე სისტემატური ხასიათი მიეცა.

– პრეზიდენტს არ ჰყავს შეწყალების კომისია და ეს რამდენად ნორმალურია?

– პრეზიდენტი თვითონ არ არის ნორმალური მის ამ თანამდებობაზე დამსმელთან ერთად.

– რა შეიძლება დაუპირისპიროთ ამ რეალობას?

– ეს ქალბატონი ჩამოსაცილებელია პრეზიდენტის პოსტს და უნდა განხორციელდეს მისი იმპიჩმენტი. მისმა მოქმედებებიმა დავითგარეჯთან დაკავშირებით, დღეის მდგომარეობით, ფაქტობრივად, დაგვაკარგვინა ეს ისტორიულ-კულტურული ცენტრი. მისი მაშინდელი ქმედებები სცილდება ყოველგვარ სამართლებრივ, სახელმწიფოებრივ, მორალურ ზღვარს და გადადის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში.

რომან გოცირიძე: „ენდიაის კვლევამ „ოცნებას“ განაჩენი გამოუტანა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ფონია ქვეყანაში და ამას ენდიაის კვლევებიც ადასტურებს. 49%-ს არ მოსწონს ხელისუფლების ნაბიჯები და მისი კურსი. რას იტყვით თქვენ?

– ეს არის ნეგატიური შეფასების ისტორიული მაქსიმუმი. ქვეყნის სწორი გზით განვითარების სჯერა გამოკითხულთა მხოლოდ 18%-ს. ეს არის ისტორიული მინიმუმი. ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას კარგად აფასებს გამოკითხულთა მხოლოდ 4% ეს არის „ისტორიული“ განაჩენი! ეს 18%-იც, ვისაც ქვეყნის სწორი გზით განვითარების სჯერა, არის „ოცნებასთან“ დაახლოებული ხალხი, ვინც მათგან იღებს ხელფასებს, ვინც ხრავს ბიუჯეტს, ესენი არიან კოორდინატორები არჩევნების, ადამიანები, რომლებიც ტენდერებში იმარჯვებენ და ასე შემდეგ.

საქართველოში მხოლოდ 18%-ია ბედნიერი „ქართული ოცნებით“. ხოლო როდესაც ისმის შეკითხვა, ქვეყნის ეკონომიკა კარგად ვითარდება თუ ცუდად, მხოლოდ 4% ამბობს, რომ კარგად. აი, ეს არის განაჩენი „ქართული ოცნების“!

გამოკვლევის შედეგების ორმა რიცხვმა გამოუტანა განაჩენი „ქართულ ოცნებას“. 500 ლარიან შემოსავალსაც რომ ვერ ასახელებს მოსახლეობის ნახევარი, ეს უკვე სიღარიბე კი არ არის, ეს არის სიღატაკე. ქვეყანა ჩავარდა მძიმე სიღატაკეში.

– გამოსავალი?

– ხელისუფლება უნდა შეიცვალოს! აი ასე შეგვიძლია შევაფასოთ გამოკითხვის შედეგები. ჩვენი ამოცანაა ხელისუფლების შეცვლა, ამიტომ აუცილებელია დღეს ყველამ განაცხადოს, რომ არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ შექმნის „ქართულ ოცნებასთან“ ერთად კოალიციას და შემდეგ ხელისუფლებას. რომ მარტო დარჩება ამ ხელისუფლების ორი განშტოება – „ქართული ოცნება“ და პატრიოტთა ალიანსი – და შეიქმნება დიდი ოპოზიციური კოალიცია, რომელიც სამომავლოდ ამ ქვეყანას დააყენებს ფეხზე.

ოპოზიციას „ოცნების“ პრემიერი განადგურებით დაგვემუქრა და როდესაც მის უმრავლესობას ამაზე არანაირი რეაგირება არა აქვს, ეს ნიშნავს იმას, რომ თავად მიდიან განადგურების გზაზე. „ოცნება“ მთიანად გაკოტრებულია და ძალიან მალე დასრულდება.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ნატოში უნდა შევიდეთ იმ ტერიტორიებით, რომლებსაც დღეს ვაკონტროლებთ“

მამუკა გვაძაბია: „დასავლეთ გერმანია ნატოს წევრი რომ არ ყოფილიყო, დღეს გერმანია გაერთიანებული არ იქნებოდა“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი და აფხაზეთიდან დევნილი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ რასმუსენის ცნობილ განცხადებასა და ამასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს გამოეხმაურა.

მამუკა გვაძაბია:

– ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია საკმაოდ მკაცრია. როგორც კი ამის თაობაზე ინფორმაცია ფეისბუქზე გამოჩნდა, მაშინვე ვნახე განცხადება ორიგინალ ენაზე. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდა.

– რას გულისხმობთ?

– რასმუსენს არსად უთქვამს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ტერიტორიის ნაწილები არ არისო. რასმუსენი გამოკვეთილად ამბობდა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ეს ნაწილები ოკუპირებულია. ამიტომ საქართველოს მიღება ნატოში შეიძლება დე ფაქტო ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე, ანუ სანამ ეს ტერიტორიები საქართველოს შემოუერთდება, დანარჩენი ტერიტორიებით, იურიდიულად მთლიანი საქართველოს ნატოში მიღებაზე ლაპარაკი დაიწყოს. ამაში ცუდი რა არის? მე ყოველთვის ამის მომხრე ვიყავი.

თუ ქვეყნის ნატოში მიღება ოკუპირებულ ტერიტორიებზე იქნება დამოკიდებული, რუსეთი ყოველთვის შეეცდება, დიდხანს გააჭიანუროს საქართველოს ნატოში გაწევრიანება. თუ რუსეთს ეცოდინება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთანავე, საქართველო ნატოს წევრი გახდება, ის იმ ტერიტორიებს არასოდეს გაუშვებს.

ჩვენთვის მომგებიანია საქართველოს ნატოში იმ ფორმით მიღება, როგორც გერმანიის შემთხვევაში მოხდა, ვიდრე ველოდოთ იმას, როდის დავიბრუნებთ ოკუპირებულ ტერიტორიებს.

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ ტერიტორიებს თმობ? რუსეთი ამას ასე გაიგებს.

– ეს ტერიტორიის დათმობას არ ნიშნავს. ამ ტერიტორიებს არ ვთმობთ. რუსეთი კი, როგორც ენდომება, ისე გაიგებს. გერმანიასთან შედარება რატომ არ გინდათ, პირდაპირი ანალოგია არ არის? დასავლეთ გერმანია ნატოს წევრი რომ არ ყოფილიყო, დღეს გერმანია გაერთიანებული არ იქნებოდა.

– გერმანიის შემთხვევაში ორივე ნაწილი წმინდა წყლის გერმანია იყო. ჩვენ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ოსი და აფხაზი სეპარატისტები გვიმღვრევენ წყალს. ამ საკითხში ჩვენ არ უნდა გვქონდეს მათი იმედი.

– ამ ფორმულირებაში მე ვერ გამოგყვებით. როდესაც ამბობთ, იქ ორივე გერმანია იყოო, აქ საქართველოა და აფხაზეთსა და ცხინვალში არ არის საქართველო?

– საქართველოა, მაგრამ...

– საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფის ცხოვრების მიხედვით რომ მივუდგეთ საკითხს, სწორი არ არის. აქაც საქართველოა და იქაც საქართველოა, მაგრამ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ. ეს არის მოცემულობა, ამას ვერსად გაექცევით.

– გერმანიაში თვითონ აღმოსავლეთ გერმანელებმა დაანგრიეს ბერლინის კედელი. ჩვენ აფხაზური და ოსური საზოგადოებების იმედი შეიძლება გვქონდეს, რომ ისინი ჩვენთან გაერთიანებას მოინდომებენ?

– აგაშენათ ღმერთმა. ამაზე მე მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია მაქვს. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რა არის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე კონტროლის დაკარგვის მიზეზი.

ამ ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვის პირველი მიზეზი არის სახელმწიფო გადატრიალება, რომლის პირდაპირი და უშუალო შედეგია ომის გაჩაღება აფხაზეთში, ადგილობრივი ელემენტების მეშვეობით. მათ შორის, ქართველი ელემენტების ხელშეწყობით, რომლებიც იმ მოცემულობაში ცენტრალური არალეგიტიმური ხელისუფლების წისქვილზე ასხამდნენ წყალს, მოიწვიეს რა არალეგიტიმური სამხედრო ფორმირებები აფხაზეთის ტერიტორიაზე და ხელი შეუწყვეს ომის გაჩაღებას...

– გასაგებია, მაგრამ ახლა ვისაუბროთ იმაზე, რასაც დღევანდელი სტატუს ქვო გვეუბნება.

– სანამ ამას საქართველო არ იტყვის, ჩვენ აფხაზეთში მომხრეებს ვერ გავიჩენთ. აფხაზეთში ჩვენ მომხრეები რომ გავიჩინოთ, საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან მკაფიოდ თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს საქართველოში მომხდარ გადატრიალებასთან დაკავშირებით.

თქვენ თუ იცით, ბოლო დროს გალის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნადარაიამ (რომელსაც 100 ქართველი ჰყავს მოკლული და აფხაზეთის გმირია) რა განაცხადა? რაც ჩვენ უნდა გვეთქვა, იმ ავაზაკმა თქვა.

ნადარაიამ თქვა: აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო იმან, ვინც საქართველოში ცენტრალური კანონიერი ხელისუფლება დაამხო. ვინც კანონიერი ხელისუფლება დაამხო, ის მთელი ქართველი ხალხი არ იყო. კანონიერი ხელისუფლება კი დაამხო ერთმა ჯგუფმა შევარდნაძის მეთაურობით და აფხაზეთში ომი დაიწყო.

ეს არის მართალი. რაც ჩვენ უნდა გვეთქვა, ნადარაიამ თქვა.

– ეგ გასაგებია, მაგრამ როდესაც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი რიგ რეგიონებზე არ ვრცელდება, ჩვენ უფლება გვაქვს რომელიმე ტერიტორიის გარეშე სამხედრო ბლოკებში შევიდეთ და უარყოფითი კონტექსტით ვიმოძრაოთ? როცა იტყვი, იმ ტერიტორიების გარეშე შედიხარ, არ იფიქრებენ, რომ მათ თმობ?

– ეს არის წამგებიანი მიდგომა ქვეყნის გაერთიანებისთვის. ნატოს წესდების მე-5 მუხლის შეჩერება მოხდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და არა სამუდამოდ. ამიტომ საქართველო ნატოში შევა დანარჩენი ტერიტორიით, სადაც სამხედრო საწვრთნელი ბაზები განლაგდება. ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდება, ყველა ქვეყანა, რომელიც ნატოში გაწევრიანდა, ეკონომიკურად გაცილებით სტაბილური და მიმზიდველი გახდა, მათ შორის, ინვესტიციებისთვის.

იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენ დე ფაქტო ვერ ვაკონტროლებთ, ყველანაირად უნდა აინტერესებდეს, მათ შორის, ცხოვრების დონის მხრივ, რომ მოგვბაძონ.

– ჩვენ ნატოში შესვლა იმიტომ გვინდა, რომ ნატოს დახმარებით ტერიტორიები დავიბრუნოთ.

– ნატოს წესდების მე-5 მუხლი დროებით იმოქმედებს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ. ძალიან პატარა ბიჭი რომ ვიყავი და ვამბობდი, გერმანია გაერთიანდება, საბჭოთა კავშირი დაინგრევა-მეთქი, ყველას გიჟი ვეგონე. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რუსეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო შერჩება? მე ასე არ ვფიქრობ. ეს ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

დღეს იქნება თუ ხვალ, ან ხელისუფლება შეიცვლება, ან პოლიტიკური მოცემულობა, ან რაღაც შეიცვლება და საქართველოს თავისი ტერიტორიები აუცილებლად დაუბრუნდება. ამაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროთ. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ და არა – უკან.

უნდა შევიდეთ ნატოში იმ ტერიტორიებით, რომელთაც დღეს ვაკონტროლებთ, რათა ცოტა მოვძლიერდეთ, ყოველ 100 მეტრში რუსული საგუშაგო არ იდგეს და საზღვრები არ გადმოწიონ. რამდენიმე დღეში შეიძლება აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალი გადაგიკეტონ. ვინ არის წინააღმდეგობის გამწევი.

– თუ ნატოს საქართველო სჭირდება, მიგვიღოს გაეროს მიერ აღიარებული საზღვრებით და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მე-5 მუხლის მოქმედებას ნუ შეაჩერებს.

– მე-5 მუხლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე რომ არ შეაჩეროს, ეს იქნება ნატოს პრინციპების ძირფესვიანი გადახედვა. ე.ი. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს პირდაპირ სამხედრო საფრთხეები ემუქრება, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტი უნდა დაიწყოს.

ნატოში მიღების შემთხვევაში დათქმა იქნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მე-5 მუხლი შეჩერდეს. დარწმუნებული ვარ, ტერიტორიული მთლიანობა 10-20 წლის განმავლობაში აღდგება. როგორც კი ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, მერე ეს მუხლი იქაც ამოქმედდება.

– ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა როგორ წარმოგიდგენიათ, როდესაც რუსეთი ყველანაირად გვავიწროვებს და ვერაფერს ვაკეთებთ?

– ძალიან მკაფიოდ წარმომიდგენია, როგორც წარმომედგინა გერმანიის გაერთიანება და საბჭოთა კავშირის დაშლა.

– თქვენ რა, რუსეთის დაშლას წინასწარმეტყველებთ?

– ჩემი საქმე რუსეთის დაშლა არ არის. ნახევარი რუსეთი ჩინეთმა წაიღო, ციმბირი ნახეთ, რა დღეშია. ნახევარი ციმბირი გადაიწვა და გამკითხველი კაციშვილი არ იყო. ეგ ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ გეგმაზომიერად უნდა ვაკეთოთ საქმე. საქართველოში ძალიან ძლიერი ნატოს ძალები უნდა იყოს, რომლებიც ძირითადად ქართველი სამხედრო მოსამსახურეებით იქნება დაკომპლექტებული. კომუნიკაციები დაცული უნდა იყოს.

თუ გვეღირსა, კარგად უნდა იყოს დაცული ანაკლიის პორტი. ეს იქნება სასტარტო პირობები. უნდა ვიმუშაოთ, პრორუსული ძალების, პატრიოტებისა და ასეთი პოლიტიკური ავაზაკების განეიტრალებაზე.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ, როგორც სახელმწიფო, გავძლიერდეთ.

დღეს ნატოს უსაფრთხოების სისტემა საქართველოსთვის ოპტიმალური ვარიანტია. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

ისრაელის პრესა: „სკამზე მიწებებულ“ ისრაელის ელჩ შაბთაი ცურს საელჩოდან წასვლა არ სურს“

ისრაელის გავლენიანი გამოცემა „იედიოთ ახრონოთი“ (14.09.2019) საქართველოში ისრაელის ელჩ შაბთაი ცურისთვის ამ თანამდებობაზე ვადის 2019 წლის ბოლომდე გახანგრძლივებას უძღვნის სტატიას სათაურით „მუდმივი ელჩი“ და, ისრაელის საგარეო უწყებაში წყაროზე დაყრდნობით, მას „სკამზე მიწებებულად“ მოიხსენიებს. ავტორიტეტული გამოცემა ხაზს უსვამს, რომ შაბთაი ცური პარტია ლიქუდის (ისრაელის მმართველი პარტია – რედ) წევრია და 2016 წელს საქართველოში მისი ხელმეორედ ელჩად დანიშვნა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. იმის მიუხედავად, რომ 2018 წლის დეკემბერში ისრაელის მთავრობამ საქართველოში ელჩად პროფესიონალი და ავტორიტეტული დიპლომატი რან გიდორი დანიშნა, შაბთაი ცურს თანამდებობა არ დაუტოვებია. მან ისრაელის მთავრობაზე მოახდინა პოლიტიკური ზეწოლა და თანამდებობაზე ვადის გაგრძელება მოითხოვა. საგარეო საქმეთა სამინისტროში შიშობენ, რომ შაბთაი ცური საქართველოში ელჩობას მესამე ვადითაც მოითხოვს.

სტატიის ავტორი ითამარ ეიხნერი წერს, რომ შაბთაი ცური თავს არიდებს გამოცემის კითხვებს, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედ ელჩს, შაბთაი ცურს ამ თანამდებობაზე ვადა 2019 წლის დეკემბრამდე აქვს გაგრძელებული.

ცნობისთვის: შაბთაი ცური, იგივე შოთა ცოცია შვილი, საქართველოში, ვანშია დაბადებული. გასული საუკუნის 70-იან წლებში ის რეპატრირდა ისრაელში. ერთხანს ეკავა ქალაქ აშკელონის ვიცემერის თანამდებობა. 2014 წელს ქალაქ ვანში ერთ-ერთ ქუჩას შაბთაი ცურის სიცოცხლეშივე მიენიჭა მისი სახელი. იმავე წელს შაბთაი ცურმა მოინდომა, მისი სახელობის ქუჩა ყოფილიყო აშკელონში (ისრაელი). ვინაიდან ამ იდეას წინააღმდეგობა შეხვდა, ქალაქის მერმა უკან დაიხია – წერდა „იედიოთ ახრონოთი“. სხვა გამოცემის თანახმად კი, შაბთაი ცურს სურდა, მისი სახელი აშკელონში იმ ქუჩას დარქმეოდა, სადაც თავად ცხოვრობდა და ეს მაშინ, როცა ქალაქში ისრაელის ცნობილი პრემიერების სახელობის ქუჩებიც არ არსებობდა. „ამ კვირაში მოვისმინეთ ახალი ანეკდოტი, რომელსაც ჰქვია ქუჩა შაბთაი ცურის სახელობის ქუჩა, მისი სახლის გვერდით. ადამიანები კარგავენ რეალობის შეგრძნებას“, – წერდა ადგილობრივი გაზეთი.

საქართველოში ისრაელის მოქმედი ელჩი მედიასთან ურთიერთობით არ გამოირჩევა. ის იშვიათად ჩნდება საქართველოში ისრაელის მხარდამჭერ ღონისძიებებზეც.

ორი დღის წინ „იედიოთ ახრონოთში“ შაბთაი ცურზე გამოქვეყნებულ სტატიას სოციალურ ქსელში მოყვა არაერთი კომენტარი, რომელთა ავტორების უმრავლესობაც ისრაელის მოქალაქეა ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი წერს: „ისრაელი მოსავალს იმკის. რაც დათესა, ის მიიღო. საერთოდ, დიდი შეცდომა იყო მისი (შაბთაი ცურის – რედ) დანიშვნა ამ თანამდებობაზე... ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს ისრაელმა, რომ ეს კაცი ამ თანამდებობას ჩამოაშოროს, სირცხვილია, დიდი სირცხვილი და საერთოდ, დადგა დრო, ასეთების ბოგინს ბოლო მოეღოს!“ – წერს მანჩო გაჩკა.

კიდევ ერთი ფეისბუქმომხმარებელი გიორგი ბერნშტეინი წერს: „შაბთაი ცურის ელჩად დატოვება ლახავს ისრაელის იმიჯს, რადგან ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთისა და იმავე ადამიანის რამდენიმეჯერ ელჩად გაშვება დამახასიათებელია აფრიკული ქვეყნებისთვის, სადაც ადამიანური რესურსის დეფიციტია. ისრაელის მთავრობის პარტიული გადაწყვეტილება კი ისრაელს აფრიკულ ქვეყანად წარმოაჩენს. ვფიქრობ, შაბთაის ელჩობა შეურაცხმყოფელი უნდა იყოს საქართველოსთვისაც – ქვეყანა იმსახურებს მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ დიპლომატს“.

ისრაელის მოქალაქე მარიამ სიარი ასე ეხმაურება გამოცემის სტატიას: „სირცხვილია! ეს არის, პირველ რიგში, ისრაელის სირცხვილი, შემდეგ კი – საქართველოსი. რატომ არ ლაპარაკობენ ამაზე პრესაში? რატომ არ იციან ორი სახელმწიფოს მოქალაქეებმა სიმართლე იმის შესახებ, თუ რა ხდება საელჩოში? რატომ არ ლაპარაკობენ ამ თანამდებობაზე მის შესაფერისობაზე? ელჩის ადგილი, რომელიც ჭამს, ცეკვავს და ქეიფობს, მხოლოდ სახლშია!“

ისრაელში რეპატრირებული მეირ მიხელაშვილი კი შაბთაი ცურის „სკამზე მიწებებულობაზე“ ამახვილებს ყურადღებას.

„ირაკლი გოგიბერიძე გადადგეს!“

თბილავიამშენი ისევ გაიფიცა

თბილისში თბილავიამშენის გაფიცული თანამშრომლები კომპანიისგან კუთვნილი ხელფასისა და დანამატის დროულად გაცემას ითხოვენ. კომპანიაში დასაქმებული 120-მდე თანამშრომლის განცხადებით, ისინი არ იმუშავებენ მანამ, სანამ თბილავიამშენი მათ სახელფასო დავალიანებას უახლოეს პერიოდში არ დაფარავს.

მათი ინფორმაციით, ისინი მიმდინარე წლის მარტშიც იდენტური მოთხოვნის საფუძველზე გაიფიცნენ.

გუშინ, 17 სექტემბერს, აქციაზე შეკრებილებს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, ირაკლი გოგიბერიძე შეხვდა, თუმცა მოლაპარაკების პროცესი კამათის ფონზე წარიმართა და უშედეგოდ დასრულდა.

აღმასრულებელმა დირექტორმა გაფიცულ თანამშრომლებს განუცხადა, რომ მათი სახელფასო დავალიანება არა მისი, არამედ გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხია.

თავის მხრივ, გენერალური დირექტორი თეიმურაზ ბერიძე პასუხისმგებლობას აღმასრულებელ დირექტორს აკისრებს.

საბოლოო ჯამში, კომპანიის ხელმძღვანელობამ აქციაზე შეკრებილ ადამიანებს ვერ უთხრა, როდის დაიფარება მათი სახელფასო დავალიანება.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და აქციაზე შეკრებილებს შორის სიტყვიერი კამათის შემდეგ გაფიცულმა თანამშრომლებმა კიდევ ერთი მოთხოვნა გააჟღერეს.

ისინი კომპანიისგან აქციონერთა კრების მოწვევას ითხოვენ, რათა თბილავიამშენის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი გოგიბერიძემ თანამდებობა დატოვოს.

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ბრალდებული ჩვენებას არ იძლევა

რუსეთის მოქალაქე, რომელიც აგვისტოში საქართველოს მოქალაქის ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაშია ბრალდებული, დაკავების დღიდან გამომძიებლებს ჩვენებას არ აძლევს.

ამის შესახებ „გარდიანი“ იუწყება.

ბერლინის პროკურატურის წარმომადგენლის მონაცემებით, ბრალდებული დაკითხვის დროს ჩუმად იყო და „პროფესიონალივით იქცეოდა“. მისი თქმით, მამაკაცი უკვე დაუკავშირდა რუსეთის საელჩოს.

გაზეთის მტკიცებით, ეს მკვლელობა ჰგავს თავდასხმებს ჩეჩენ მებრძოლებზე რამდენიმე ქალაქში, რომლებიც ჩადენილია რუსეთის სახელმწიფოს მონაწილეობით.

გერმანიის პარლამენტის წევრის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან პატრიკ სენსბურგის განცხადებით, კრემლი დაინტერესებულია, გაერკვეს პროცესში, თუმცა დუმილს ინარჩუნებს, რის გამოც გამოძიება რთულდება.

ზელიმხან ხანგოშვილი ბერლინში 23 აგვისტოს მოკლეს.

მკვლელი, სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეა.

„გიორგი ოთხმეზურის ოჯახს ხელისუფლებამ ზურგში დანა ჩაარტყა“

სალომე ზურაბიშვილმა მარიკა ლორთქიფანიძის 18 წლის შვილიშვილის მკვლელი შეიწყალა

ქვეყნის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 18 წლის დათო ოთხმეზურის მკვლელობისთვის გასამართლებული ასლან ბეჟანიძე შეიწყალა. მან პენიტენციარული დაწესებულება 28 აგვისტოს დატოვა.

ფაქტს ადმინისტრაცია ამ დრომდე მალავდა. ოთხმეზურებმა ზურაბიშვილის გადაწყვეტილება მედიისგან გაიგეს.

დავით ოთხმეზური 2004 წელს პეკინისა და მიცკევიჩის ქუჩების კვეთაზე მოკლეს.

ასლან ბეჟანიძე ბოლო 12 წლის განმავლობაში იძებნებოდა. მისი დაკავება საბოლოოდ მაინც მოხერხდა. მას ბრალად ედებოდა 18 წლის დავით ოთხმეზურის მკვლელობა. საბოლოოდ უზენაესმა სასამართლომ ასლან ბეჟანიძე დავით ოთხმეზურის მკვლელობაში დამნაშავედ გასულ წელს ცნო და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საზოგადოებაში ფართო რეზონანსი მოჰყვა.

– სალომე ზურაბიშვილმა გონიერებას მოუხმოს – ფეხებზე არ უნდა დაგვიკიდოს ადამიანები. მან არაფრად ჩააგდო ჩვენი განცდები, ჩვენ ოჯახის წევრი მოგვიკლეს, რაც მოხდა, ეს უფრო დიდი ტკივილია ახლა, ეს არის სულში ჩაფურთხება სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან, – ამის შესახებ დავით ოთხმეზურის ახლობელმა ანდრო მაისურაძემ კვირის პალიტრა ჯი-სთან ინტერვიუში განაცხადა.

ანდრო მაისურაძე ამბობს, რომ შეწყალების შესახებ მან ტელევიზიის საშუალებით შეიტყო.

– აღშფოთებულები ვართ, სიტყვებს ვერ ვპოულობ. ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ დათუნას მკვლელი გარეთ არის. ვერ ვხვდებით, რა ხდება ამ ქვეყანაში? პრეზიდენტმა უკვე მერამდენე მკვლელი გამოუშვა გარეთ? მე ვსაუბრობ იმ ფაქტზე, რაც ჩემს მამიდაშვილს შეეხება.

ყველასთვის ნათელია, რომ ბეჟანიძემ მოკლა დათუნა ოთხმეზური, ყველამ ვიცით, რა და როგორ მოხდა. თქვენ არ იცით, რამდენწლიანი ბრძოლა იყო იმისთვის, რომ მკვლელი დასჯილიყო. 2004 წლიდან მოყოლებული ველოდით დათუნას მკვლელის დასჯას, წარმოიდგინეთ, ბეჟანიძე 12 წელი მიმალვაში იყო, ისმის კითხვა, თუ არ ხარ დამნაშავე, 12 წელი რატომ იმალები?

ყველამ იცის ისიც, რომ მას მფარველები ჰყავდა და ამის წყალობით იყო გარეთ და ამდენი წელი ხელშეუხებელი. როგორც იქნა, დააკავეს, როგორც იქნა, უზენაეს სასამართლოში აღსდგა სამართლიანობა, მკვლელი დაისაჯა. დღეს ვიგებთ, რომ თურმე 3 კვირაა, გარეთ არის. პრეზიდენტი როცა ასეთ რამეს აკეთებს, ის უნდა ეცნობოდეს საქმის მასალებს. უნდა გაარკვიოს, რეალურად საქმეში რა ხდება.

არ გავაკეთებ აქცენტს იმაზე, რომ ეს საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ოჯახის ტრაგედიაა. გასაგებია, ყველა ადამიანის მკვლელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ როცა ასეთი ცნობილი ოჯახი ვერ პოულობს ქვეყანაში სამართალს, წარმომიდგენია, სხვა ადამიანები რა მდგომარეობაში არიან.

გიორგი და კოტე საზღვარგარეთ იყვნენ წასულები და იმ პერიოდს ემთხვევა ბეჟანიძის შეწყალება. ვერ აგიხსნით, რა გადაიტანა ეს წლები ამ ოჯახმა, მამიდაჩემი ამ საქმეს გადაჰყვა, რომ იტყვიან, ჩაჰყვა საფლავში თავის შვილს.

გამოდის, პროფესორ გიორგი ოთხმეზურის ოჯახს ზურგში დანა ჩაარტყა ამ ხელისუფლებამ. არავის ვუსურვებ ამ განცდების გადატანას. წარმოიდგინეთ, ამდენი ვაივაგლახით, ამდენი ბრძოლით დასჯილი მკვლელი გარეთ გაუშვა. ალბათ არ კითხულობს საქმეებს და ისე იწყალებს ადამიანებს, რა ხდება ამ ქვეყანაში, მკვლელებით და კრიმინალებით უნდა გაივსოს ქალაქი?!

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბოლო ინსტანციამდე მიყვანილი დადანაშაულებული მკვლელები გარეთ გაუშვა. სად არის სამართალი, სად ვეძებოთ, სახელმწიფო არ გვაქვს? – აცხადებს მოკლულის მამიდაშვილი.

სოსო პავლიაშვილის სიძე ვახტანგ ჩხაპელია გარდაიცვალა

ის ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს

2013 წლის 23 ნოემბერს თბილისში ბიზნესმენი ავთანდილ ადუაშვილი მოკლეს. მისი ცხედარი საკუთარ ავტომობილში ზაზიაშვილის ქუჩაზე აღმოაჩინეს.

ოჯახი მკვლელობის შეკვეთაში მომღერალ სოსო პავლიაშვილს ადანაშაულებდა, რომელთანაც ადუაშვილს დიდი ხნის მეგობრობა და საერთო ბიზნესინტერესები აკავშირებდა. საბოლოოდ, ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის ბრალდებით სამი პირი გაასამართლეს, მათ შორის სოსო პავლიაშვილის სიძე ვახტანგ ჩხაპელია.

პრაიმტაიმისთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ხნის წინ განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებული ვახტანგ ჩხაპელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ციხიდან სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც სიმსივნის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობით გარდაიცვალა.

პრაიმტაიმმა ჯერ კიდევ 2013 წელს გამოაქვეყნა ვახტანგ ჩხაპელიას მიერ გამოძიებისთვის მიცემული პირველადი ჩვენება, სადაც ის ამბობდა, რომ ადუაშვილის დასჯის სანაცვლოდ თანხა სოსო პავლიაშვილმა გადაუხადა, თუმცა მოგვიანებით ბრალდებულმა ეს ჩვენება შეცვალა და საქმესთან სოსო პავლიაშვილის კავშირი უარყო. აი, რას ამბობდა ის პირველ ჩვენებაში.

გამომძიებელი: მკვლელობის მეორე დღეს ერევანში შეხვდით სოსო პავლიაშვილს, ესაუბრეთ თუ არა მას თქვენი მეგობრის გია დარახველიძის გარეშე?

ვახტანგ ჩხაპელია: ვესაუბრე. ვუთხარი, ასე მოხდა, არ მინდოდა, ასე ყოფილიყო, მაგრამ ასე გამოვიდა-მეთქი... მთელი ცხოვრება არ მოგვასვენა, არ მოგვასვენა და ახლა დაისვენა.

გამომძიებელი: სოსომ იცოდა, რა ხერხით აპირებდით ადუაშვილის დასჯას?

ვახტანგ ჩხაპელია: ზუსტად არ იცოდა.

გამომძიებელი: აბა, რა იცოდა?

ვახტანგ ჩხაპელია: ფიზიკურად უნდა გავსწორებულიყავით, მაგრამ არ დამიკონკრეტებია. მკვლელობა არ იცოდა. თავიდან ბოლომდე მე ვარ დამნაშავე.

გამომძიებელი: როგორ აუხსენით, რას გულისხმობდით დასჯაში?

ვახტანგ ჩხაპელია: არ ვიცი, ყველაფერს ერთად, ალბათ.

გამომძიებელი: თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის თანხა ვინ გადმოგცათ?

ვახტანგ ჩხაპელია: თანხა ავიღე სოსო პავლიაშვილისგან.

ჩხაპელიას ჩვენების თანახმად, უკრაინაში შეხვედრის დროს სოსო პავლიაშვილმა მას 30 ათასი ევრო მისცა, რომელიც შემსრულებლებისთვის უნდა გადაეხადა. ჩვენებისვე მიხედვით, ვახტანგ ჩხაპელიამ თანხა მკვლელობის ორგანიზატორ გელა უბილავას გადასცა, ამ უკანასკნელმა კი ის შემსრულებლებს გაუნაწილა.

პრაიმტაიმთან საუბრისას მოკლული ბიზნესმენის დედა ნანა ეფრემიძე აცხადებდა, რომ მისი შვილი სწორედ სოსო პავლიაშვილის დაკვეთით მოკლეს.

– სოსოს მოსკოვის ცენტრში აქვს ბინა, მანქანა, სტუდია, ბიზნესები – ეს ყველაფერი ავთომ დაულაგა, გზაზე დააყენა და ამ ყველაფრიდან ავთოს თავისი წილი უნდა ჰქონოდა, სოსოს თავისი. პავლიაშვილი დროდადრო უგზავნიდა ხოლმე თავის კუთვნილ დივიდენდებს, მაგრამ ავთო იმ დღეებში ერევანში გეგმავდა ჩასვლას და ყველაფრის საბოლოოდ გარკვევას, თუმცა სწორედ ეს არ დაუშვა პავლიაშვილმა და იქ ჩასვლამდე მოიცილა.

მანამდე ავთომ შეკრიბა თავისი ბავშვობის 4-5 ძმაკაცი და უთხრა, რომ მოსკოვიდან თავისი წილის წამოღებას აპირებდა, პირველ ეტაპზე სადღაც 700 ათას დოლარის, საერთო ჯამში კი დაახლოებით 2 მილიონზე იყო საუბარი. აქ გეგმავდა ბიზნესების წამოწყებას და ძმაკაცებს სთხოვა გვერდში დადგომა.

დღეს სოსო პავლიაშვილს ძალიან დიდი ფული აქვს, სადღაც 30 მილიონს ითვლის მისი ქონება, მაგრამ მისი მაფიოზური გონება ამას არ დასჯერდა. არის მეორე მოტივიც – ნაციონალები რომ წავიდნენ, სოსო საქართველოში ბიზნესის დაწყებას გეგმავდა, დიდი რაოდენობით შავი ფულის შემოტანას აპირებდა. თუ ის საქართველოში რამეს წამოიწყებდა, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ავთოს გარეშე ამას ვერ გააკეთებდა, რადგან ავთო შავ ბიზნესს არ დაუშვებდა. ამიტომაც ავთო ზედმეტი იყო საქართველოში მათი მიზნების განსახორციელებლად, ამიტომაც გადაწყვიტეს ჩემი შვილის მოცილება. მათ კარგად იცოდნენ, რომ ავთო რამე ისეთს არ გააკეთებინებდა, – ამბობს პრაიმტაიმთან საუბრისას ნანა ეფრემიძე.

თავად სოსო პავლიაშვილი მეგობრის მკვლელობასთან ყოველგვარ კავშირს დღემდე უარყოფს.

„ვიღაცამ აიღო თანხა და შეუტანა სახლში სიკვდილი“

ზესტაფონში მირანდა სხილაძისა და მისი 2 შვილის გარდაცვალების მიზეზი წყლის გამათბობელია

სოკარ ჯორჯიას წარმომადგენლების ინფორმაციით, 16 სექტემბერს ზესტაფონში დედისა და 2 მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალების მიზეზი წყლის გამათბობელი გახდა.

25 წლის მირანდა სხილაძე ბინაში 1 თვის წინ გადავიდა. მირანდა მეუღლესთან გაშორებული იყო და მცირეწლოვან შვილებთან, 2 წლის დამიანესთან და 4 წლის ლილესთან ერთად მარტო ცხოვრობდა.

ქალი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ილემიდან იყო.

სოკარ ჯორჯიას წარმომადგენელი ამბობს, რომ გეგმური შემოწმების დროს ისინი ბინაში აპრილში მივიდნენ, თუმცა დაკეტილი დახვდათ, რის გამოც გაზის მილის ჩაჭრა გარედან მოხდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ოჯახი ბინაში საცხოვრებლად გადავიდა, წყლის გამათბობელზე გაზის მილის დაერთება კუსტარულად განხორციელდა. მომხდარ ფაქტს სწავლობენ ექსპერტები.

პოლიციამ სახლის მეპატრონე გამოკითხა.

სოკარ ჯორჯია გაზის იმერეთის რეგიონული ოფისის ექსპლუატაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე გაბრიჩიძე ამბობს, რომ ბინაში წყალგამცხელებელი ტექნიკური ნორმის დარღვევით იყო დამონტაჟებული.

– აღმოჩნდა, რომ ამ მომხმარებელს სახლში ჰქონდა ტექნიკური ნორმის დარღვევით დამონტაჟებული წყალგამცხელებელი. ვიღაცამ აიღო თანხა და შეუტანა სახლში, მაპატიეთ და სიკვდილი თუ დააყენა ხელსაწყო, მივიდეს გაზის მეურნეობასთან, ჰკითხოს, რამდენად სწორად არის ჩემი ხელსაწყო დამონტაჟებული, რომ გამართული და უსაფრთხო იყოს.

იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე აცხადებს, რომ მსგავსი შემთხვევები ძირითადად გამოიკვეთა იმ სახლებში, რომლებიც გაქირავებულია.

– გამოიკვეთა ერთი მთავარი პრობლემა, ის, რომ ძირითადად ასეთი ფაქტები ხდება ისეთ სახლებში, რომლებიც არის გაქირავებული, დაკეტილი და სოკარი ვერ ახერხებს შესვლას, რომ ფიზიკურად აღწეროს მდგომარეობა.

ამიტომ ჩაერთვება ყველა გამგეობა და ჩაერთვება ყველა ის ადამიანი, რომლებსაც მიუწვდებათ ხელი იმ ხალხზე, რომლებსაც დაკეტილი აქვთ და გაქირავებისთვის აქვთ ბინა გამზადებული, – თქვა ზვიად შალამბერიძემ.

ილია მემანიშვილი, მორის მაჩალიკაშვილი და გოგი ქურდოვანიძე პატიმრობაში რჩებიან

20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული ილია მემანიშვილი, მორის მაჩალიკაშვილი და გოგი ქურდოვანიძე კვლავ პატიმრობაში რჩებიან.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატო ხუჯაძემ გუშინ, 17 სექტემბერს, გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა.

ადვოკატებმა ბრალდებულების გათავისუფლების შუამდგომლობა დააყენეს, რასაც ბრალდების მხარე არ დაეთანხმა.

დაკავებულებმა ბრალთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციაც დააფიქსირეს და აღნიშნეს, რომ ისინი თავს დამნაშავედ არ სცნობდნენ.

რაც შეეხება ბეჟან ლორთქიფანიძეს, მას აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული. მან სასამართლო სხდომაზე დაკავებული პირების გათავისუფლება ითხოვა და განაცხადა, რომ როგორც თავად არ მიემალა გამოძიებას, ასევე ისინი არ მიიმალებიან.

დავით თეთრუაშვილი ოჯახის წევრებმა მდინარის პირას გარდაცვლილი იპოვეს

თეთრიწყაროს რაიონში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 37 წლის მამაკაცი დაიღუპა.

სოფელ ჯორჯიაშვილში მცხოვრები დავით თეთრუაშვილი ოჯახის წევრებმა გარდაცვლილი საკუთარი ნაკვეთის სიახლოვეს მდინარის პირას 16 სექტემბერს საღამოს ნახეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ის მდინარე ალგეთზე დენით თევზაობდა, როდესაც დენმა დაარტყა და დაიღუპა.

მას 3 მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა.

სოფელ ჯორჯიაშვილში მერის წარმომადგენელი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და ამბობს, რომ საქმეზე ჭეშმარიტებას გამოძიება დადგენს.

– მშრომელი ბიჭი იყო, 3 მცირეწლოვანი დარჩა, დილას როგორც ყველა სამუშაოდ ნაკვეთში წავიდა, რომ აღარ გამოჩნდა, ოჯახი მის საძებნელად წავიდა და მდინარის პირას გარდაცვლილი ნახეს, დათო გუშინ იუბილარი იყო და საღამოს ოჯახის წევრებთან ერთად დაბადების დღის აღნიშვნას აპირებდა, თუმცა არ დასცალდა, – თქვა პრაიმტაიმთან მერის წარმომადგენელმა მალხაზ ბეგიაშვილმა.

შსს-ში ფაქტს ადასტურებენ. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ავღანეთის პრეზიდენტის მოსახლეობასთან შეხვედრისას აფეთქება მოხდა

დაღუპულია 24 ადამიანი

ავღანეთში მომხდარ აფეთქებას 24 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავებულთა რიცხვი კი 31-ია.

აფეთქება გუშინ, 17 სექტემბერს, ფარვანის პროვინციაში იმ ტერიტორიასთან ახლოს მოხდა, სადაც ავღანეთის პრეზიდენტი აშრაფ ღანი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობას ხვდებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების შედეგად პრეზიდენტი ღანი არ დაშავებულა.

– მსხვერპლის უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეა. მათ შორის არიან ქალები და ბავშვებიც. გარდაცვლილთა რაოდენობა შესაძლოა, გაიზარდოს, – განაცხადა ადგილობრივი საავადმყოფოს ხელმძღვანელმა.

აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა.

გუშინვე აფეთქება მოხდა ქაბულის ცენტრშიც, სადაც სულ მცირე 3 ადამიანი დაიღუპა.

თალიბების მეთაურებმა პირობა დადეს, რომ ავღანურ და უცხოელ ძალებთან შეტაკებებს გააქტიურებენ, რათა მოსახლეობა აიძულონ, 28 სექტემბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვან.

სომხეთის ექსპრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი პატიმრობაში დატოვეს



სომხეთის ექსპრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ერევნის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

მას 2008 წელს კონსტიტუციური წყობის დამხობაში ედება ბრალი.

– სასამართლომ რობერტ ქოჩარიანის ადვოკატების სარჩელი უარყო და მისი პატიმრობაში დატოვება გადაწყვიტა, – განაცხადა მოსამართლე ანა დანიბეკიანმა.

საკონსტიტუციო წყობის დამხობის საქმეზე სასამართლო პროცესი, რომლის თანახმადაც, ბრალდებულები არიან ექსპრეზიდენტი ქოჩარიანი, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივანი იური ხაჩატუროვი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი სეირან ოჰანიანი და ყოფილი ვიცე-პრემიერი არმენ გევორქიანი, 12 სექტემბერს დაიწყო.

ტრამპს ირანელების არ სჯერა

როგორც ცნობილია, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ბრალდება იმის თაობაზე, რომ საუდის არაბეთის სანავთობო კომპანიაზე თავდასხმა ირანის ორგანიზებულია.

პრეზიდენტ ტრამპს სამინისტროს განცხადების არ სჯერა.

– ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების არ მჯერა, ფაქტები სულ სხვაზე მიუთითებენ, – ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საუდის არაბეთის ნავთობკომპანიებზე თავდასხმა რეაგირების გარეშე არ დარჩება.

– აშშ-ს გააჩნია ძალა, რათა ამას ადეკვატური პასუხი გასცეს, – ამბობს ტრამპი.

სამიტი ანკარაში

თურქეთის დედაქალაქში რუსეთის, თურქეთისა და სირიის ლიდერები შეიკრიბნენ. საუბრის ძირითადი თემა სირაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

სამიტის დაწყებამდე ერთმანეთს თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი და ვლადიმერ პუტინი შეხვდნენ. მათ იდლიბის პროვინციაში შექმნილი ვითარება განიხილეს.

– მდგომარეობა საგანგაშოა. ბატონ პუტინს ეს პირდაპირ ვუთხარი, – განუცხადა ჟურნალისტებს ერდოღანმა.

სამიტზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმადაც რუსეთი, ირანი და თურქეთი სირიაში კოორდინირებულად იმოქმედებენ, რათა რეგიონმა სტაბილურობას მიაღწიოს.

ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ ამისი შესრულება მოხერხდება. რუსეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესები განსხვავდება.

უკრაინის ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელის აგარაკი დაიწვა

დაიწვა უკრაინის ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელის ვალერია გონტარევას აგარაკი, რომელიც კიევის მახლობლად მდებარეობდა.

არსებობს ხანძრის გამომწვევი რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთი მათგანი განზრახ ცეცხლის წაკიდებაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ანსუ ფატი ესპანელი გახდება

ბარსელონის შემტევი ანსუ ფატი მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. 16 წლის ფეხბურთელი ხმაურიანად შეიჭრა დიდ ფეხბურთში. ყველა ხვდება, რომ ფატის დიდი მომავალი აქვს, ამიტომ მასზე უკვე განსაკუთრებით და ფრთხილად საუბრობენ.

ესპანური მედიის ცნობით, იქაური ფეხბურთის ფედერაცია უკვე აქტიურად მუშაობს და ახლოსაა ანსუს ნატურალიზაციასთან. როგორც იცით, ბარსას ახალბედა შემტევი გვინეა-ბისაუს მოქალაქეა, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია, რომ ესპანეთის ნაკრებისთვის ითამაშებს.

თავდაპირველად ფატის 17-წლამდე ნაკრებში მიიწვევენ, რომელიც სულ მალე მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს. სწორედ აღნიშნულ ტურნირზე შედგება ფატის დებიუტი „ფურია როხას“ წითელი მაისურით. 17-წლამდე მუნდიალი 26 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე ბრაზილიაში გაიმართება.

ასეთ შემთხვევაში კი ფატის „ელ კლასიკოს“ გამოტოვება მოუწევს, რომელიც 27 ოქტომბერს კამპ ნოუზე გაიმართება.

ბოლოსკენ შეგახსენებთ, ანსუ ფატიმ მიმდინარე სეზონში ბარსელონის რიგებში ჩატარებულ 3 მატჩში 2 გოლი და 1 საგოლე პასი მიითვალა, საყოველთაო ყურადღებაც დამსახურებულად მიიპყრო.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაუროთ. ტელ: 597-46-40-60.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

ნეიმარს დისკვალიფიკაცია შეუმცირეს

ევროპის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნეიმარი ევროტურნირებზე 3 მატჩის ნაცვლად 2-ს გამოტოვებს.

ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია უეფამ მსაჯების მიმართ გამოთქმული არაკორექტული გამოთქმების გამო დაუწესა. ნეიმარმა მერვედფინალში მანჩესტერთან მარცხის შემდეგ სოციალური ქსელით არბიტრების კომპეტენციაში ეჭვი შეიტანა.

ევროპის მთავარმა საფეხბურთო ორგანომ ნეიმარი ივნისში დასაჯა, რასაც მომენტალური გასაჩივრება მოჰყვა, რომელმაც საბოლოო შედეგი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე მოიტანა.

ასე რომ, ნეი ჩემპიონთა ლიგის საწყის 2 მატჩს გამოტოვებს და პსჟ-ს ტურნირის მე-3 ტურში, ბრიუგესთან სტუმრად გასამართი შეხვედრისას, 22 ოქტომბერს დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, დღეს პარიზული კლუბი ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე რეალს დაუხვდება და, დისკვალიფიცირებული ნეიმარის გარდა, ედინსონ კავანისა და კილიან მბაპეს მოისაკლისებს.

პიტერ შილტონი: „მარადონას ხელს არ ჩამოვართმევ“

დღეს ლეგენდარული ინგლისელი მეკარე პიტერ შილტონი 70 წლის ხდება. წარმოუდგენელი კარიერა ჰქონდა – 4 ათწლეულის განმავლობაში იდგა კარში და თამაშს თავი 47 წლისამ დაანება. შილტონს ინგლისის ნაკრებში ყველაზე მეტჯერ, 125-ჯერ უთამაშია, ხოლო სულ 1.249 მატჩი ჩაუტარებია, რაც მსოფლიოში სულ რამდენიმე ფეხბურთელის ხვედრია.

შილტონმა ორჯერ ასწია ჩემპიონთა თასი. ასევე უთამაშია 3 მსოფლიოს ჩემპიონატზე. ერთ-ერთი 1986 წელს იყო და სწორედ მას გაუტანა დიეგო მარადონამ „ღმერთის ხელით“.

პიტერ შილტონი:

– ყოველდღე საწვრთნელ მინდორზე ყოფნა უკვე მიჭირს. ამას წინებზე მეუღლეს ვეუბნებოდი, არ მინდა, რომ მეთოდები, რომლებსაც 30 წლის განმავლობაში ვიყენებდი და ვხვეწდი, დაიკარგოს. მეთოდები, რომლებსაც დღეს მეკარეების მწვრთნელები იყენებენ, განსხვავებულია. მე კი საკუთარი საიდუმლოებები მაქვს. ბევრს საერთოდ არ ესმის, რა არის მეკარეობა. შემიძლია, თანამედროვე მეკარეების ოსტატობა 15-20%-ით გავუმჯობესო.

შილტონი იხსენებს, სად და როგორ შეხვდა მის კერპს, გორდონ ბენქსს. ეს ლესტერის საწვრთნელ ბაზაზე მოხდა.

– კარგა ხანს, უბრალოდ, გადმოვარდნილ ბურთებს ვაწვდიდი. მან მადლობა გადამიხადა. რა იცოდა მაშინ, რომ მალე მისი კონკურენტი გავხდებოდი. ლესტერში 15 წლის ჩავირიცხე. 16-სას კი პირველ გუნდში მქონდა დებიუტი.

მართალია, შილტონმა ჩემპიონთა თასიცა და ინგლისის ჩემპიონობაც ნოტინგემის მაისურით იზეიმა, მაგრამ ყოველთვის რჩება ლესტერელ ბიჭუნად და ამ გუნდის გულშემატკივრად. როცა ლესტერმა 2016 წელს პრემიერლიგა მოიგო, შილტონი ძალიან გახარებული იყო.

პირველად მსოფლიო ჩემპიონატზე შილტონი 1982 წელს გაემგზავრა ესპანეთში და დღემდე დარწმუნებულია, რომ არა კვინ კიგანის და ტრევორ ბრუკინგის ტრავმები, ინგლისელები მუნდიალს მოიგებდნენ. რონ გრინვუდის ინგლისმა მაშინ ტურნირი მეორე ჯგუფურ ეტაპზე დაასრულა.

მერე იყო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი. ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მატჩი – არგენტინა-ინგლისი.

– არ მიყვარს ამ ეპიზოდის გახსენება. აღმაშფოთებელი მომენტი იყო. როცა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდეს, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, კარის ხაზი დროულად დავტოვე და მაღალ ბურთზე ავხტი, მაგრამ მარადონამ ხელი წაჰკრა და გაიტანა. ყველამ დაინახა, რომ გოლი წესის დარღვევით გავიდა, მაგრამ არავინ არაფერი თქვა. ხალხი ამბობს, სამაგიეროდ დიეგომ მეორე ისეთი ბურთი გაიტანა, მუნდიალების ისტორიაში საუკეთესოდ რომ ითვლებაო. მაგრამ პირველი, უსამართლო გოლის შემდეგ კონცენტრაცია დაკარგული გვქონდა და ამიტომაც გამოუვიდა არგენტინელს ყველაფერი. რაც ყველაზე მთავარია, ბოდიში არ მოუხდია. რამდენიმეს დღემდე მწარედ გვახსოვს ის გოლი. მაგალითად, გარი ლინეკერისგან განსხვავებით, მე, პიტერ რიდი და ტერი ბატჩერი მარადონას ხელს არასოდეს ჩამოვართმევთ.

შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე 1990-ში ინგლისმა ნახევარფინალში წააგო გერმანიასთან პენალტების სერიაში.

– გერმანელები საოცრად ურტყამდნენ თერთმეტმეტრიანებს, – იტყვის მოგვიანებით შილტონი.

ეს მისი ბოლო მატჩი გახლდათ ეროვნულ გუნდში. კარიერა კი 47 წლისამ დაასრულა დაბალლიგელ ლეიტონ ორიენტში.

ახლა კოლჩესტერთან ახლოს ცხოვრობს და ნამდვილი ბრიტანელია.

– დიახ, ნამდვილი ბრიტანელი ვარ. წლეულს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისს მხურვალედ ვქომაგობდი. ახლა მოკრიკეტეებს ვუჭერ მხარს. პოლიტიკა ყოველთვის მაინტერესებდა. აუცილებელია, საკუთარი აზრი გაგაჩნდეს და არ გრცხვენოდეს ნათქვამისა. ბევრი იდიოტი მაკრიტიკებს ტვიტერში, მაგრამ ცხოვრებამ სქელკანიანი გამხადა.

ფეხბურთი

16 სექტემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 0:0

საატჩნიო ცხრილი:

1.ლივერპული	5	5	0	0	15-4	15
2.სიტი	5	3	1	1	16-6	10
3.ტოტენჰემი	5	2	2	1	11-6	8
4.მანჩესტერი	5	2	2	1	8-4	8
5.ლესტერი	5	2	2	1	6-4	8
6.ჩელსი	5	2	2	1	11-11	8
7.არსენალი	5	2	2	1	8-8	8
8.ვესტ ჰემი	5	2	2	1	6-7	8
9.ბორნმუთი	5	2	1	2	8-9	7
10.საუთჰემპტონი	5	2	1	2	5-6	7
11.ევერტონი	5	2	1	2	5-7	7
12.კრ.პალასი	5	2	1	2	3-6	7
13.ნორვიჩი	5	2	0	3	9-12	6
14.ბარნლი	5	1	2	2	6-7	5
15.შეფილდი	5	1	2	2	5-6	5
16.ბრაიტონი	5	1	2	2	5-8	5
17.ასტონ ვილა	5	1	1	3	4-6	4
18.ნიუკასლი	5	1	1	3	4-8	4
19.ვულვზი	5	0	3	2	6-10	3
20.უოტფორდი	5	0	2	3	4-10	2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზ.პაული-ჰამბურგი 2:0

იტალია. სერია ა

ტორინო-ლეჩე 1:2

საატჩნიო ცხრილი:

1.ინტერი	3	3	0	0	7-1	9
2.ბოლონია	3	2	1	0	6-4	7
3.იუვენტუსი	3	2	1	0	5-3	7
4.ნაპოლი	3	2	0	1	9-7	6
5.ატალანტა	3	2	0	1	7-6	6
6.ტორინო	2	2	0	0	6-5	6
7.მილანი	3	2	0	1	2-1	6
8.რომა	3	1	2	0	8-6	5
9.ლაციო	3	1	1	1	5-3	4
10.ჯენოა	3	1	1	1	6-6	4
11.ვერონა	3	1	1	1	2-2	4
12.სასულო	3	1	0	2	7:7	3
13.კალიარი	3	1	0	2	4-4	3
14.პარმა	3	1	0	2	4:5	3
15.სპალი	3	1	0	2	4-5	3
16.ბრეშა	3	1	0	2	4-5	3
17.უდინეზე	3	1	0	2	2-4	3
18.ლეჩე	3	1	0	2	2-6	3
19.ფიორენტინა	3	0	1	2	4-6	1
20.სამპდორია	3	0	0	3	1-9	0

იტალია. სერია ბ

სალერნიტანა-ბენევენტო 0:2

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-შატორუ 0:1

ხუსეთი. პრემიერლიგა

დინამო-უფა 0:0

როსტოვი-ახმატი 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ალანია-ფენერბახჩე 3:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-იაბლონეცი 3:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

კრაკოვია-პიატი 2:0

დანია. სუპერლიგა

სილკებორგი-ოდენსე 0:3

შვედეთი. ალსვენსკა

ესკილსტუნა-ელფსბორგი 2:2

დიურგარდენი-ჰელსინბორგი 2:0

ნორვეგია. ელიტსერია

სარპსბორგი-ვალერენგა 1:0

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მანუჩარ მარკოიშვილმა სანაკრებო კარიერა დაასრულა

კიდევ ერთმა ქართველმა კალათბურთელმა დაასრულა სპორტული კარიერა. მანუჩარ მარკოიშვილი თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ ქართული თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად.

მარკოიშვილმა კარიერა ბათუმის ბასკოში დაწყო. შემდეგ იყო იტალიური ბენეტონი, გერმანული მიტელდოიჩერი, სლოვენიური ოლიმპია, უკრაინული კიევი, ისევ იტალია – ამჯერად კანტუ, თურქული გალათასარაი, რუსული ცსკა, კვლავ თურქეთი და დარიუშაფაქა და ბოლო კლუბი იტალიური რეჯინა.

მარკოიშვილი ყველაზე ახალგაზრდა ქართველია, რომელმაც ევროლიგაში ითამაშა. 2002 წელს ის 16 წლის იყო, როცა იტალიური ბენეტონის შემადგენლობაში ევროპის უძლიერეს ლიგაში შეაბიჯა და ამ სუპერტურნირის ფინალში ლეგენდარულ დეიან ბოდიროგას მეურვეობდა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სამადლობელი წერილი და სრულიად ქართული საკალათბურთო საზოგადოების სახელით მადლობას უხდის მანუჩარ მარკოიშვილს იმ თავდადებისთვის, რასაც ის მთელი კარიერის განმავლობაში იჩენდა ეროვნულ ნაკრებსა თუ კლუბში თამაშის დროს.

სასიხარულოა, რომ მანუჩარ მარკოიშვილს გადაწყვეტილი აქვს კალათბურთში დარჩენა და საკუთარი მდიდარი და ფასდაუდებელი გამოცდილების ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება.

ასათიანმა საბურთალოს 2 ქულა წაართვა

საბურთალო-ტორპედო 1:1
თბილისი. მიხეილ მესხი 2
0:1 მოსიაშვილი (45), 1:1 ლაკვეხელიანი (79)

საბურთალო: კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, სანდოხაძე, ჩაბრაძე, ყენია (კოხრეიძე 46), ტერა (კაკუბავა 72), ალთუნაშვილი, გაბედავა, გი (ლაკვეხელიანი 57), როლოვიჩი.

ტორპედო: ასათიანი, ჭიჭინაძე, ხურცილავა, მაჩაიძე, ნადარაია, გადრანი, გრიგალაშვილი, ჩუკვურა, მოსიაშვილი (ცეცხლაძე 54), ჩოგაძე (იოანნიძე 71), ციცქიშვილი (კიკნაძე 67).

მიხეილ მესხის სახელობის არენაზე ეროვნული ლიგის 22-ე ტურის გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს საბურთალო და ქუთაისის ტორპედო დაუპირისპირდნენ.

ტორპედოს ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, ბუნებრივია მასპინძლები გამოკვეთილ ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ მოედანზე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. პირველ ტაიმში სტუმრები მეტად აკონტროლებდნენ ბურთს და ტაიმის მიწურულს ანგარიშის გახსნაც მოახერხეს – საბურთალოს კარში გოლი ცოტნე მოსიაშვილმა გაიტანა.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე საბურთალოსთვის 3 ქულის მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად მატჩის მე-2 ტაიმში მასპინძლები მეტად გააქტიურდნენ და სახიფათო მომენტებსაც ხშირად ქმნიდნენ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ტორპედოს 16 წლის მეკარე დავით ასათიანის საიმედო თამაში.

79-ე წუთზე გიორგი ჭიაბრიშვილის ფეხბურთელებმა მაინც მოახერხეს სტუმართა კარში გოლის გატანა – ანგარიში შეხვედრაში ცვლილებაზე შემოსულმა ლუკა ლაკვეხელიანმა გაათანაბრა.

გატანილი გოლის შემდეგ საბურთალომ მეტოქე კარის მიმართულებით ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა, რასაც მატჩის ბოლო წუთზე ქუთაისელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი მოჰყვა, თუმცა ოგნიენ როლოვიჩის დარტყმული ასათიანმა მოიგერია და საკუთარ გუნდს ქულა მოუტანა.

ამ დროისთვის საბურთალოს 51 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-3 ადგილზე იმყოფება, ხოლო ქუთაისის ტორპედო 40 ქულით მე-4 პოზიციას იკავებს.

იუვენტუსის ფანები კლუბს აშანტაჟებდნენ

ტურინის იუვენტუსის ულტრასებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა. იტალიელმა სამართალდამცავებმა „ბიანკონერის“ სხვადასხვა მძლავრი ფანკლუბის ერთბაშად რამდენიმე წარმომადგენელი დააკავეს, რომელთა საერთო ჯამმა 39 ადამიანი შეადგინა.

მათ გარკვეული ასოციაცია ჰქონდათ შექმნილი, რითაც კლუბს აშანტაჟებდნენ და მათგან თავისუფალ ბილეთებს იღებდნენ. 2017-18 წელს მსგავს მაქინაციურ გეგმას ბოლო „ბიანკონერის“ ხელმძღვანელობის მხრიდან გატარებულმა ქმედებებმა ბოლო მოუღო, მაგრამ ტალღა ეტაპობრივად მაინც იმატებდა.

ულტრასები იმუქრებოდნენ, რომ მატჩების მსვლელობის დროს ისინი რასისტული შინაარსის ტექსტებს იყვირებდნენ, რითაც სტადიონის დისკვალიფიკაციას ან კონკრეტული ტრიბუნის ჩაკეტვას გამოიწვევდნენ.

დიდი ალბათობით, ტურინელი სამართალდამცავები გააგრძელებენ აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას და დაკავებულთა ციფრი მეტად გაიზრდება.

აქვე, ადგილობრივი პოლიციის უფროსის ჯუზეპე დე მატეისის განცხადებით, მოახლოებული შეხვედრა, სადაც იუვე ვერონას დაუპირისპირდება, შესაძლოა, დიდი შეტაკებების ეპიცენტრად იქცეს, რადგან ერთმანეთს 2 რადიკალურად განწყობილი ფანდაჯგუფება შეხვდება.

არ არის გამორიცხული, დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს შეხვედრა გადაიტანონ კიდევაც.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 2. მდინარე პრაღაში; 3. თვითმფრინავის, გემის სვლის მიმართულება; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 6. სოფლის პოლიციელი ძველად; 8. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 11. ოსური ხაჭაპური; 13. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. თიხის ნაკეთობათა გამოსაწვავი ქურა.

თარაზულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული კატისებრთა ოჯახის წითელ წიგნში შეტანილი გარეული ცხოველი; 9. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 12. უკრაინის პრეზიდენტი; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრითა და კვერცხით შეზავებული მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 17. ხურდა ფული ბრაზილიაში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 22. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დეკადანსი; 2. ბოსფორი; 3. ლინატე; 4. სალდო; 5. ანანდი; 11. ბრინზა; 12. ფრანკი; 14. ტუში; 16. უიარაღო; 17. ოჯალეში; 19. რემისია; 21. ქართუ; 22. ქაოსი.

თარაზულად: 6. სელადონი; 7. კრაზანა; 8. დრონი; 9. ადაჟიო; 10. ტუმბო; 13. ფსიტი; 15. გუგენჰაიმი; 18. ბაიკერი; 20. ჯინი; 21. ქედანი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მაკეტი; 2. საფარა; 3. ბარჯი; 5. ჯუსი; 6. როლერი; 8. ჩაროზი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. სიმენსი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. მძლეოსნობა; 4. სინჯარა; 7. კარდიფი; 9. ჯანაოზი; 10. ომარი; 12. ბროსნანი; 16. დინამიტი; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კასტელი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9626

ევრო — 3.2657

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6745

100 რუსული რუბლი — 4.6206

ამინდის პროგნოზი 18 სექტემბერი

17 სექტემბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ანეკდოტი

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ურეკავს და ეუბნება:

– მოდი, შევხვდეთ ერთმანეთს, ყავა დავლიოთ.

– ყავა, როგორც ყოველთვის, ლოგინში?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მე მეორე თანრიგის ვეგეტარიანელი ვარ.

– ეგ როგორ?

– როგორ და ძროხა ჭამს ბალახს, მე კი ძროხას...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დიეტას ვიწყებ, ამიტომ მხოლოდ კიბორჩხალა, მოლუსკები, რვაფეხები და ტრუფელები უნდა ვჭამო!

– ასე რატომ დაწვრილმანდი, ბარემ პირდაპირ ფულის ჭამა დაგეწყო!

•••

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– ბიჭო, გუშინ მაგარი ზანგის გოგო შევაბი! პრიალა კანი, ჩამოსხმული ფეხები, სასწაული ფიგურა, სახე – ულამაზესი!

– მერე?

– სახლში მივიყვანე, შამპანური დავლიეთ, ვიცეკვეთ, შემდეგ ნელ-ნელა გავაშიშვლე...

– მერე, მერე?

– მერე შუქი ჩავაქრე და ვეღარ ვიპოვე...

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ამ დილით ჩემ ქმარს ვკითხე, თუ რატომ აღარ მეუბნება, რომ ვუყვარვარ.

– მერე, რა გიპასუხა?

– რა და, თავად ის ფაქტი, რომ მისი მანქანის დამტვრევის შემდეგ დღემდე ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ, მისი დიდი სიყვარულის დასტურია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლელა წურწუმია 50 წლის იუბილეს სპორტის სასახლეში აღნიშნავს

მომღერალი ლელა წურწუმია ნახევარსაუკუნოვან იუბილეს სპორტის სასახლეში გრანდიოზული კონცერტით აღნიშნავს.

4 ოქტომბერს სპორტის სასახლეში მისული მსმენელი მომღერლის რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერებს მოისმენს.

ლელა წურწუმია:

– შოუ იმდენად გრანდიოზული იქნება, როგორიც აქამდე არასდროს გაგვიმართავს. ეს იქნება როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე მუსიკის ნაზავი. პირველად შევთავაზებთ მსმენელს ჩემი სიმღერების ელექტრონულ ვერსიებს.

კიდევ ძალიან ბევრი სიახლეა, რომელიც სურპრიზად დახვდება მაყურებელს. ბილეთები ისეთი სისწრაფით იყიდება, სპორტის სასახლეს აუცილებლად გავავსებთ!

რეზო ესაძემ ნახატების გამოფენა მოაწყო

ცნობილმა რეჟისორმა რეზო ესაძემ თავისი ნამუშევრების გამოფენა აჭარის მუზეუმის ხელოვნების მუზეუმში მოაწყო.

ხელოვანის პერსონალური გამოფენა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიხსნა.

გამოფენა 22 სექტემბრამდე გაგრძელდება.

თბილისის ბიგ ბენდმა უფასო კონცერტები დაიწყო

თბილისის ბიგ ბენდმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში უფასო კონცერტების ჩატარება დაიწყო.

პირველი კონცერტი თეატრალურ უნივერსიტეტში ჩატარდა. ბიგ ბენდის მუსიკოსებმა და მომღერლებმა სტუდენტებისთვის თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო ნაწარმოებები შეასრულეს.

განახლებული სამხატვრო აკადემიის საზეიმო გახსნაზე სწორედ თბილისის ბიგ ბენდი დაუკრავს.

– ეს არის ჩვენი უცვლელი ტრადიცია, თბილისის ბიგ ბენდი სასწავლო წლის დაწყებას და დამთავრებას, დიპლომების მიღებას და ქუდების აფრიალებას ყოველთვის უფასო კონცერტებით ულოცავს თბილისის უმასლესი სასწავლებლების სტუდენტებს, – განაცხადა ორკესტრის დამაარსებელმა გაიოზ კანდელაკმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბარსელონამ ანსუ ფატისთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

ბარსელონამ 16 წლის ვუნდერკინდ ანსუ ფატისთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალგაზრდა ფორვარდი თავისი ასაკისთვის საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას მიიღებს. კონტრაქტის სხვა დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

ფატიმ ბარსელონაში შესანიშნავი სტარტი აიღო და 16 წლის ასაკში უკვე შეძლო 2 გოლის გატანა ძირითად გუნდში.

ფატიმ თავი ოსასუნასთან და ვალენსიასთან გამოიჩინა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ფორვარდმა რამდენიმე საგოლე პასიც გააკეთა.

მბაპეს რეალთან თამაში გამორიცხულია

პსჟ-ს ახალგაზრდა ვარსკვლავი კილიან მბაპე კვლავ ტრავმირებულია და მისი რეალთან თამაში გამორიცხა. მბაპე მოედანს, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს დაუბრუნდება, მანამდე კი პსჟ-ს მის გარეშე მოუწევს თამაში.

მბაპეს გარდა, რეალთან ტრავმის გამო არც ედისონ კავანი ითამაშებს. გარდა ამისა, დისკვალიფიკაცია აქვს ნეიმარს, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რეალთან პსჟ შესუსტებული შემადგენლობით იქნება და ფავორიტი შეხვედრაში რეალია, თუმცა რეალი ასევე საკადრო პრობლემებს განიცდის.

შეხვედრა 18 სექტემბერს გაიმართება.

კოკორინი და მამაევი გამოუშვეს

რუსმა ფეხბურთელებმა ალექსანდრ კოკორინმა და პაველ მამაევმა ციხე დატოვეს. ისინი კარგი ყოფაქცევის გამო ორი თვით ადრე გათავისუფლდნენ.

ეს ორი ფეხბურთელი გასული წლის ოქტომბერში დააკავეს, როდესაც მათ მოსკოვის ცენტრში რამდენიმე ადამიანი ცემეს.

ამ ამბავმა რუსეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია და ფეხბურთელები საკმაოდ მკაცრად დასაჯეს – ისინი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ციხეში იმყოფებოდნენ.



ზენიტი კოკორინს არ გაუშვებს, ხოლო მამაევის კრასნოდარი ფეხბურთელთან განშორებას აპირებს და მას ახალ კონტრაქტს აღარ გაუფორმებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 სექტემბრისთვის

ვერძი – კონფლიქტური სიტუაციები ენერგიას გაცლით. თქვენი ბიუჯეტი მკვეთრად იზრდება. ** კურო** – მიუხედავად დაბრკოლებისა, საქმეებს აგვარებთ. ინტუიციას მიენდეთ. **ტყუპები** – დღეს აქტიურობას ერიდეთ. უმჯობესია, ცოტა დაისვენოთ და ენერგია აღიდგინოთ. **კირჩხიბი** – სულიერი სიმტკიცე და თვითგანვითარება დღის დევიზია. კონფლიქტს თავს მარტივად აარიდებთ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. ენერგია სწორი მიმართულებით ხარჯეთ. **ქალწული** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. **სასწორი** – გარშემომყოფებს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. ეცადეთ, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოთ. **ღრიანკალი** – წინდაუხედავ საქციელს შესაძლოა ფინანსური ზარალი მოჰყვეს. ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. ოჯახის წევრებისგან ყურადღებასა და მზრუნველობას გრძნობთ. **თხის რქა** – აქტიური და ენერგიული დღეა. მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. **მერწყული** – ემოციები მოთოკეთ. კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით და საკუთარი პრინციპების დასაცავად ყველა ხერხს ნუ გამოიყენებთ. **თევზები** – დღეს საყოფაცხოვრებო პრობლემებს შეეჭიდებით. საქმე დინჯად და დაკვირვებით აკეთეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

თორნიკე ოქრიაშვილმა მცირე ტრავმა მიიღო

საქართველოს ნაკრებისა და კვიპროსის ანართოსის ფორვარდმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც, სავარაუდოდ, 2 კვირას გამოტოვებს.

ოქრიაშვილმა, შესაძლოა, დამატებითი გამოკვლევები ჩაიტაროს, მაგრამ ჯერჯერობით ტრავმა სერიოზული არ ჩანს.

თორნიკე თავისი გუნდის რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს.

საქართველოს ნაკრები შემდეგ მატჩს 12 ოქტომბერს ჩაატარებს და ამ თამაშისთვის ოქრიაშვილი მზად უნდა იყოს.

ფრენკ ლამპარდი: „ჩელსის მწვრთნელობა უდიდესი პასუხისმგებლობაა“

ჩელსის ახალმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა თავის სამუშაოზე ისაუბრა და თქვა, რომ ძალიან სიამოვნებს ჩელსის სათავეში ყოფნა, მაგრამ, ამავდროულად, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა:

– როდესაც პირველი ვარჯიში ჩავატარე ჩელსის მწვრთნელის რანგში, მაშინვე ვიგრძენი, რამხელა პასუხისმგებლობაა ეს. ჩელსი ძალიან მიყვარს და ვამაყობ, რომ ამ გუნდში დავბრუნდი, მაგრამ, ამავე დროს, ვალდებული ვარ, კლუბს ძველი დიდება დავუბრუნო. ფეხბურთელმა ლამპარდმა ჩელსიში 13 წელიწადი გაატარა და ის გუნდის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ქართველი ძიუდოისტი; 2. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტი; 3. აეროპორტი ნიუ იორკში; 4. მესაქონლე გლეხი მონღოლეთში; 5. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. ქრისტიანთა საღმრთო წიგნების კრებული; 12. სოფელი ხევსურეთში; 14. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 16. ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 17. ფრანგული ყველი; 19. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 22. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

თარაზულად: 6. ქალაქი მესხეთში; 7. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 8. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 9. აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 13. ხრახნული კონვეიერი; 15. მოძრავი კიბე; 18. მშრალად მოხარშული ძროხის ან ცხვრის კერძი; 20. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 21. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 23. ეგრისის სამთავროს მთავარი ქალაქი; 24. სატუსაღო ძველ თბილისში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა